გაზეთი ბევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№14 (1655) 26 აპრილი — 2 მაისი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## როგორ გახდა ტრაქტორისტი რუსეთში ყველაზე გავლენიანი და სასტიკი ბანდის ლიდერი

სერიალის – „ბრიგადა" რეალური ისტორია

# „მისტერ ოფშორის" საერთაშორისო აფერა და მილიარდიანი თაღლითური სქემა

როგორ გავიდა BBC-ი დავით კეზერაშვილზე – ქოლცენტრების სკანდალის გაუხმაურებელი დეტალები

## ზვიად კუპრავა: „აირ-დაირია ყველაფერი!"

რა ხდება ენმ-ში

## მიტინგების ქვეყანა ანუ „უცნობი" ისევ მოდის

რატომ იმუქრება მუდმივად მომღერალი, რომლის შესახებაც ახალგაზრდობამ არაფერი იცის

## პოლიციამ აჭარაში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ს.ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მეგობარს – 1985 წელს დაბადებულ ა.დ.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირებისას, ბლაგვი საგნის გამოყენებით თავის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ ს.ს. ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

## პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.თ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ზ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დააკავეს.

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 22 აპრილს, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, თბილისში, მისსავე ნაქირავებ ბინაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1989 წელს დაბადებულ ზ.ე.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ზ.ე., მიყენებული ჭრილობების შედეგად, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული დ.თ. ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მკვლელობის ფაქტს ნ.ზ. შეესწრო, თუმცა პოლიციას მომხდარი დანაშაულის შესახებ არ შეატყობინა.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 376-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს.

## პოლიციამ ახმეტის მუნიციპალიტეტში, მკვლელობის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ჯ.ქ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ახმეტის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თანასოფელი – 1980 წელს დაბადებულ ნ.ნ. სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა.

პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯ.ქ. ბრალდებულის სახით დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

## პოლიციამ კახეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ბ.ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ ახმეტაში, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის შედეგად, მეზობელი – 1952 წელს დაბადებული ლ.ხ. სანადირო თოფიდან გასროლით სახის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ლ. ხ. სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბ.ხ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# მიტინგების ქვეყანა ანუ „უცნობი“ ისევ მოდის

ნინო დოლიძე

## რატომ იმუქრება მუდმივად მომღერალი, რომლის შესახებაც ახალგაზრდობამ არაფერი იცის

**30 აპრილს ისევ მიტინგია. ამჯერად, ქუჩაში გია გაჩეჩილაძე ანუ მომღერალი „უცნობი“ გამოდის და საკუთარ „ფანებსაც“ მოუწოდებს, რომ მის გვრდით დადგნენ. საერთოდ, ვინმემ სტატისტიკა რომ აწარმოოს, ბოლო 30 წელში რამდენი მიტინგი-აქცია ჩატარდა, ალბათ, ისეთ ციფრს მივიღებთ, რომლის წაკითხვაც ყველაზე გენიოს მათემატიკოსსაც კი გაუჭირდება. ჰოდა, ცოტა იუმორით თუ ვიტყვით, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრი კი არა, მიტინგების ქვეყანა უნდა ერქვას. დიახ, თქვენი გულისა, ერი მიტინგიდან მიტინგამდე ცხოვრობს და... ყველა, ვისაც არ ეზარება, თავს ქუჩის აქციებით იქცევს. აი, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როცა ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, მიტინგებს აზრი ჰქონდა. აზრიანი, შესაძლოა, ის ქუჩის გამოსვლებიც იყო, 2000-იანების დასაწყისში, მაშინდელმა ოპოზიციამ ქვეყანა რომ აააზვირთა და შედეგად, „ვარდების რევოლუცია“ „დადო“. აქციებს აზრი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც ჰქონდა და ყველას გვახსოვს, იგივე „ოცნების“ შეკრებებზე ზღვა ხალხი რომ მიდიოდა ხოლმე, მაგრამ აი, ახლა, საკითხავია, „უცნობი“ ქუჩაში რისთვის გამოდის? ისე, გულახდილები თუ ვიქნებით, ვიღაცამ, შესაძლოა, იფიქროს, 30 აპრილის მიტინგით, რომელსაც პირობითად, „მოვდივარ“ ჰქვია, „უცნობი“ ვაჭრობსო და ეს უსაფუძვლო ეჭვი არც იქნება. რატომ? – იმიტომ, რომ ძმებ გაჩეჩილაძეებს მსგავსი რაღაცები სჩვევიათ და ეს მხოლოდ ზერელე ნათქვამი რომ არ არის, მოდით, მათი „ბეგრაუნდიდან“ რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენოთ.**

### „მიშა, მოვდივარ!“

გაჩეჩილაძეების ოჯახი თბილისის ე.წ. ელიტური ფენისთვის, შესაძლოა, ადრეც ცნობილი იყო, მაგრამ მის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი თავს 90-იანი წლების ბოლოდან იჩენს. კერძოდ, იმ დროს, როცა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, ესე იგი, მიხეილ სააკაშვილი მაშინდელი მმართველი პარტიის, „მოქკავშირის“ სახე იყო და ვაკის მაჟორიტარობისთვის იბრძოდა, ლევან გაჩეჩილაძე მისი საარჩევნო შტაბის უფროსი გახლდათ.

ამის გახსენება პოლიტიკიდან გაუჩინარებულ უფროს გაჩეჩილაძეს, შესაძლოა, არ სიამოვნებს, მაგრამ ხალხს არცთუ მოკლე მეხსიერება აქვს. ჰოდა, მოსახლეობას ისიც ემახსოვრება, რომ იყო დრო, როცა უმცროსი გაჩეჩილაძე ანუ მომღერალი „უცნობი“, საკაშვილთან ერთდ მღეროდა – ექსპრეზიდენტი „უცნობს“ პირდაპირ სცენაზე აეჭრა, თუმცა მომღერალს „დაუპატიჟებელი სტუმრის“ გამოჩენა არ გაუპროტესტებია. პირიქით, მეგობრულად გაუღიმა და სიმღერა განაგრძო.

სწორედ ამავე პერიოდს უკავშირდება ის ეპიზოდიც, როცა გაჩეჩილაძეებმა, რომელთაც წარსულში ღვინის ბიზნესი ჰქონდათ, მიხეილ სააკაშვილის სახელობის ღვინო ჩამოასხეს. ჰოდა, ერთ-ერთი მთავარი კითხვის ნიშანიც სწორედ ამ წვრილმანების გახსენების ფონზე ჩნდება – როდის იყვნენ ძმები გულწრფელები: როცა ლამის სააკაშვილის მზეს იფიცებდნენ თუ მაშინ, როცა იგივე ლევან გაჩეჩილაძე „ნიკალაევიჩს“ ემუქრებოდა, მიშა მოვდივარო?!

ისე, დრო იცვლება, მაგრამ „უცნობის“ სლოგანი უცვლელია ანუ, როგორც მიშას დროს, ახლაც გაიძახის, მოვდივარო...

### სკანდალური ხუთი მილიონი

მერე, დრო რომ გავა, გაჩნდება ეჭვი, რომ ეს მუქარა ჩვეულებრივი სიმულაცია იყო და მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, 2010 წლის მიწურულს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი შეფი, ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ლევან გაჩეჩილაძეს სკანდალურ ბრალდებებს წაუყენებს და იტყვის, რომ ეროვნულ კრებაში მონაწილეობის სანაცვლოდ, თითქოს, ის 2 მილიონს ითხოვდა.

**„გრეჩიხასთან“ ვზივართ „პადვალში“ ნინო, მე, ეროსი, „გრეჩიხა“, კოკა და მიდის საუბარი. აი, უყურე, როგორი პირობა არის წამოყენებული: მოვდივართ კრებაზე და კოკა გუნცაძე უნდა იყოს შტაბის უფროსი, ეროსი კიწმარიშვილი უნდა იყოს პიარისა და პრესის მიმართულების ხელმძღვანელი და „გრეჩიხა“ უნდა დამჯდარიყო, ფაქტობრივად, ქურდად. ყველა ფინანსური სიტუაცია უნდა გავლილიყო „გრეჩიხას“ ხელში, აი, ასეთი პირობა წამოაყენეს“,** – ნათქვამი იყო ამ ინტერვიუში.

ამასთან, ბიწაძე ჟურნალისტთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ ლევან გაჩეჩილაძე გია გაჩეჩილაძის, კოკა გუნცაძისა და ბიძინა გეგიძის ფინანსური პრობლემების მოგვარებასაც ითხოვდა.

**„ეროსი მეუბნება, ბიჭო, ამ „გრეჩიხასთან“ ფულის გარეშე არაფერი გამოვა, გამორიცხულია. ერთი-ერთში დაელაპარაკეო“,** – აღნიშნავს ბიწაძე სკანდალურ ინტერვიუში, რომელიც 2010 წლით თარიღდება.

ამავე მასალაში ხაზგასმული იყო, რომ გაჩეჩილაძე, ბიწაძისა და ბურჯანაძისგან 2 მილიონს ითხოვდა, საიდანაც 300 ათასი „მაესტროს“ აქციების 49%-ის გადასაფორმებლად, მამუკა ღლონტისთვის უნდა გადაეცა. ბიწაძე ირწმუნებოდა, რომ გაჩეჩილაძე ბურჯანაძეს, თითქოს „მაესტროს“ აქციების 25%-ის გადაფორმებას დაჰპირდა. ბიწაძის მაშინდელი განცხადებითვე, გაჩეჩილაძემ ამ 2 მილიონიდან, საკუთარ „პულკაში“ შესაყვანად, ზურაბ ნოღაიდელსაც მოსთხოვა ანუ ნოღაიდელი თითქოს მზად იყო, რომ ოპოზიციის ლიდერობის სანაცვლოდ, 2 მილიონი გადაეხადა.

**„ამის შემდეგ, „გრეჩიხამ“ მოაგზავნა კაცი და გვეუბნება, ნოღაიდელი ყიდულობს ამ ტელევიზიას, პლუს, ფულსაც გვიხდის და მერე ნოღაიდელს ჩვენ ვეღარ ვეტყვით უარს ამ ერთობაში შემოსვლაზე, სასწრაფოდ თუ არ გადაიხდით ამ ფულს. ჩვენ ვეუბნებით, რომ ვერ გადავიხდით. „მაესტროს“ 25% რაში მჭირდება, რატომ უნდა გადავიხადო ფული? ჩვენ საბოლოოდ ვეუბნებით, ვიწყებთ სახალხო კრების სიტუაციას და თქვენ უერთდებით თუ არა ამ პროცესს?**

**„გრეჩიხა“ ამბობს ასეთ რაღაცას, რომ ერთი თვე მე უნდა გავიდე, მოვშორდე ყველაფერს იმიტომ, რომ ფული მაქვს ასაღებიო. თუ შენ ოპოზიცია გაძლევს ფულს, მაშინ რატომ უნდა მოშორდე ამ პროცესებს? ის პირობას ხომ არ გიყენებს, რომ გაჩერდე? ე.ი ელოდება, რომ ხელისუფლებამ მისცეს ფული“,** – ნათქვამი იყო ინტერვიუში.

ბიწაძის ზემოხსენებული ინტერვიუდანვე, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ლევან გაჩეჩილაძე თითქოს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა და ფურცელზე ჩამოუწერა მოთხოვნები:

**„დროებით, 6 თვით დამნიშნე პრემიერად... მინდა, ხუთი მილიონი... ილია ჭავჭავაძის საადგილმამულო ბანკის შესაქმნელად მჭირდება საწყისი კაპიტალი 10-12 მილიონი“.**

ამავე ინტერვიუში აღნიშნული იყო, რომ ლევან გაჩეჩილაძემ, მიხეილ სააკაშვილს, თითქოს თინა ხიდაშელის მთავარ პროკურორად დანიშვნაც მოსთხოვა, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა, ხიდაშელი გიგა ბოკერიაა, კაბაში და ტყუილად გგონიათ ფრთიანი ანგელოზიო.

სტატიაში, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ასევე, ნათქვამი იყო, რომ სააკაშვილმა გაჩეჩილაძეს ავანსად, თითქოს ორი მილიონი გადაურიცხა და დანარჩენზე უარი უთხრა.

სტატიის ავტორი იმასაც აღნიშნავდა, რომ სააკაშვილ-გაჩეჩილაძეს შორის ვაჭრობის საგანი, თითქოს ის იყო, რომ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია მშვიდად უნდა ჩატარებულიყო...

* * *

ზოგადად, „უცნობისა“ და მისი ძმის წარსულიდან ბევრი რამის გახსენება შეიძლება, მაგრამ დეტალებით არ გადაგღლით, თანაც „უცნობის“ მატარებელმა, კარგა ხანია, ჩაიარა. ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ ე.წ. ჯენზი თაობამ მომღერლის შეთავაზება არ მიიღო, ოღონდ პროდასავლურ აქციებზე არ იაროთ და სადაც მეტყვით, უფასო კონცერტს იქ გაგიმართავთო. ახალგაზრდობა ყველზე დიდი ძალაა. ჰოდა, როცა ახალგაზრდობამ ისიც კი არ იცის, ვინ არის „უცნობი“, ერთი საკითხავია, მომღერალი სად აპირებს მოსვლას?

# „ვითარება არანორმალურია“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## რას შეცვლის ლავროვის ამერიკული ვოიაჟი რუსეთ-უკრაინის ომში – მამუკა გამყრელიძის პროგნოზი

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი ნიუ იორკში იმყოფება. დაიგეგმა შეხვედრა გაერო-ს გენერალურ მდივანთან, ანტონიუ გუტერეშთან.**

**ლავროვის თავმჯდომარეობით გაიმართება გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა. რუსეთმა ამ სხდომაზე მიიწვია რამდენიმე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი. როგორც გაერო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვასილი ნებენზიამ განაცხადა, რუსეთს ბევრი განსახილველი თემა დაუგროვდა. 2023 წლის პირველი აპრილიდან, როტაციის წესით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა რუსეთი, რომელსაც უკრაინის წინააღმდეგ ომის გამო ადანაშაულებენ გაერო-ს წესდების და საერთაშორისო სამართლის დარღვევაში. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ საბჭოს სათავეში ჩაუდგა „ტერორისტი სახელმწიფო“, რაც ცხადჰყოფს, რომ საჭიროა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეფორმირება. უკრაინამ გაერო-ს წევრ ქვეყნებს მიმართა, არალეგიტიმურად აღიარონ ორგანიზაციაში რუსეთის ყოფნა.**

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვიზა არ მისცა რუსეთის სახელმწიფო პროპაგანდისტული მედიასაშუალებების ჟურნალისტებს, რომლებსაც ლავროვის ვიზიტი უნდა გაეშუქებინათ. ნიუ იორკში გამგზავრების წინ, ლავროვმა განაცხადა, რომ ამას „არ დაივიწყებენ და არ აპატიებენ“.**

**ლავროვის აშშ-ში ვიზიტზე „ვერსია“ ევროპელი დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერსა და ჩინეთში საქართველოს ყოფილ ელჩს, მამუკა გამყრელიძეს ესაუბრა:**

– რეალურად, ვითარება არანორმალურია იმიტომ, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს, როტაციის წესის მიხედვით, უძღვება რუსეთი, პირველი აგრესორი და საფრთხის შემქმნელი მსოფლიოსთვის, მაგრამ ამას ვერაფერს უზამ, რადგან გაერო-ს წესდებაში წერია, რომ უშიშროების საბჭოში 5 მუდმივმოქმედი წევრია და მათი როტაციით, ერთ-ერთი იქნება თავმჯდომარე.

სხვათა შორის, ამ შეხვედრაზე ბლინკენიცაა მიწვეული და ეს ცუდი არ არის. მოდით, ამას სხვა მხრიდანაც შევხედოთ – ეს არის პლატფორმა, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ძალიან ძლიერი სახელმწიფოების ხელმძღვანელები.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს შექმნა რას ნიშნავდა – ესენი იყვნენ გამარჯვებული ქვეყნები მეორე მსოფლიო ომში... რეალურად, ის სამყარო, რაც გვაქვს, არის მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ შემდგარი და მოქმედებს ის წესები, რომლებიც მაშინ იალტას კონფერენციაზე ჩამოყალიბდა. ჩვენ ახლა იმ პერიოდში ვიმყოფებით, როცა ძველი წესები აღარ მუშაობს, მაგრამ ახალი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. არის რაღაც გარკვეული ნიშნები, რომ მსოფლიო გადანაწილდება დემოკრატიულ და ავტოკრატიულ ქვეყნებად, მაგრამ აქაც არის კითხვები, რადგან ერთმნიშვნელოვნად კარგი არც დემოკრატიაა და ავტოკრატიასაც აქვს გარკვეული პლუსები, გამომდინარე იმ ქვეყნების მოსახლეობის ადათებისა და წესებისგან, რომელშიც ისაა გავრცელებული. შესაბამისად, ჯერჯერობით, მომავალი სამყაროს სტრუქტურას ვერ ვხედავთ და ამიტომაცაა ასეთი დუღილის პროცესი. იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი ეს არ გადაიზრდება დიდ მსოფლიო ომში და ლოკალური ომების სახით ჩაქრება.

**– ამბობთ, რომ ლავროვის ვიზიტს აშშ-ში სხვა მხრიდანაც უნდა შევხედოთ და დიახ, აშშ-ისა და რუსეთის წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს და როგორ ფიქრობთ, ამ შეხვედრაზე, უკრაინის ომთან დაკავშირებით შესაძლოა, რამე მოლაპარაკება გაიმართოს?**

– ჩვენთან მოარული აზრი ტრიალებს, რომ „დასავლეთი ისე ერთია, როგორც არასდროს“, რაც აბსურდია, რადგან დასავლეთი არაა ერთიანი, რაც ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის გუშინდელმა სტატიამაც გვიჩვენა. მან სერიოზული ბრალდებები წაუყენა ჩინეთსა და რუსეთს, მაგრამ მთავარი მისი კრიტიკის მიმართულება იყო დასავლეთი იმიტომ, რომ დასავლეთმა გააძლიერა ავტოკრატიული რეჟიმები, გამოკვება ფინანსებით, ტექნოლოგიებით, ყიდულობდა მათგან საქონელს, ნედლეულს და ასე წერს ლანდსბერგისი: გულუბრყვილო დელუზიებში იყვნენ, რომ შეძლებდნენ ამ ხალხზე დასავლური ღირებულებების თავსმოხვევას. ეს კი ასე არ არის, ეს სხვანაირი ხალხებია და ამას არ ითვალისწინებს დასავლეთი.

არათუ დასავლეთი, არამედ აშშ-იც არაა ერთიანი, მათ შორის, თეთრ სახლშიც არაა ერთიანობა. მაგალითად, სალივანი მოლაპარაკებისა და ომის შეჩერების მომხრეა ამ მომენტშიც კი, როცა რუსეთი გამარჯვებულის როლშია, რადგან ბევრად მეტი ტერიტორია აქვს მიტაცებული, ვიდრე აქამდე ჰქონდა და ახლა ომის შეჩერება უკრაინისთვის იქნება კატასტროფა, მაგრამ ბლინკენი და მისი თანამოაზრეები ამას მხარს არ უჭერენ და მზად არიან, მაქსიმალურად დაეხმარონ უკრიანას, სანამ მას დასჭირდება. ასე რომ, იმედი მაქვს, არ იქნება რამე მოლაპარაკებაზე საუბარი.

ლავროვის ვიზიტიც უნდა დავაყენოთ იმ რეალობაში, რომ არ არსებობს ახალი წესები, ძველები კი მოძველდა და აღარ მუშაობს.

**– უკრაინა აცხადებს, რომ რუსეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი არ უნდა იყოს და უნდა შეიცვალოს გაერო-ს წესდება. როგორ ფიქრობთ, ეს მოთხოვნა რეალურია დღევანდელ ვითარებაში?**

– უკრაინამ ეს განცხადება უნდა გააკეთოს, რა თქმა უნდა. შესანიშნავად იცის ზელენსკიმ, რომ ამას რეაგირება ვერ მოჰყვება, რადგან უშიშროების საბჭოში ბირთვული სახელმწიფოებია: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, რუსეთი და ჩინეთი. ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ უშიშროების საბჭოში, მაგრამ რაღაც წესი მაინც უნდა მოქმედებდეს, რომ თუ რომელიმე აგრესიაზე მიდის, იმ მომენტში შეუჩერდეს სტატუსი, ან როგორც მინიმუმ, საბჭოს თავმჯდომარე აღარ უნდა იყოს. როცა ეს შეიქმნა, მაშინ ეს 5 სახელმწიფო იყო გარანტი მშვიდობისა. დღეს საერთაშორისო კანონმდებლობა ვერ მოქმედებს. ეს არის გაეროს პრობლემა, გაერო დღეს არ მუშაობს, რადგან არ არსებობს ახალი წესები, ახალი წესების ჩამოყალიბებას კი, ჩვენდა სამწუხაროდ, სჭირდება ახალი ომი და ღმერთმა დაგვიფაროს ამ ომისგან.

# ზვიად კუპრავა: „აირ-დაირია ყველაფერი!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## რა ხდება ენმ-ში

**ენმ-ის ყოფილმა თავმჯდომარე ნიკა მელიამ და მისმა მხარდამჭერებმა თბილისში პოლიტიკური ოფისი გახსნეს, რასაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა განცხადებით გამოეხმაურა:**
**„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უმაღლესი ლეგიტიმაციით არჩეული თავმჯდომარე და არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული მმართველობითი ორგანოები ჰყავს.**
**ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი, დამოუკიდებლად თუ სხვა პოლიტიკური პარტიის შემადგენლობაში. მათ შეუძლიათ, ჩამოაყალიბონ ახალი პარტია და შესაბამისად, განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკა, თუმცა ღარიბაშვილის, კობახიძის, ტვ „იმედის“, „პოსტივისა“ და „ქართული ოცნების“ რიტორიკით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით, ჩვენ პარტიაზე განხორციელებული თავდასხმები სრულიად აუხსნელი მოვლენაა. მათ მიერ გაჟღერებული გზავნილები, პირდაპირ, ხელს აძლევს რუსული ოცნების მტრული პროპაგანდის განმტკიცებას.**
**გაუგონარია, თუ რას ემსახურება პოლიტიკური ოფისის არსებობა, სადაც შეკრებილები თავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებად ასაღებენ და ამავდროულად ესხმიან მას... სეპარატიზმის მცდელობები აზიანებს პარტიის საუკეთესო ინტერესებს. სწორედ ამიტომ, მოვუწოდებთ ყველას, აღიარონ და შეეგუონ პირდაპირი და მაღალი ლეგიტიმაციით ჩატარებული არჩევნების შედეგებს. ყველა, ვინც საკუთარ თავს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრად მივიჩნევთ, ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის კუთვნილ სივრცეებში, ერთ პარტიაში უნდა ვიმუშაოთ. „ქართული ოცნებისთვის” დამახასიათებელი რიტორიკით, გაუგებრობისა და ბუნდოვანების შემოტანა არ ემსახურება არც პარტიისა და არც სახელმწიფოს ინტერესებს“.**
**აღნიშნულ განცხადებას, თავის მხრივ, ნიკა მელიაც გამოეხმაურა:**
**„გაკვირვებული ვარ, ამ დღეებში, ახალი მენეჯმენტის რეაქციით, ოფისის გამო. ოფისი გაიხსნა იმ მძიმე რეალობიდან გამომდინარე, იმ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომელიც დღის წესრიგში დადგა არა პარტიის თავმჯდომარის არჩევნების შემდეგ (რომელიც ვაღიარე, მივულოცე და ვუსურვე, ეპოვათ თავის თავში ძალა პარტია ემართათ ღირსებითა და სიმართლით), არამედ წარმოუდგენლად უსამართლოდ ჩატარებული ყრილობის შემდეგ, რამაც პარტია პრაქტიკულად ორად გაყო. სწორედ ამ „ყრილობის“ შემდეგ, დარჩა პარტიის ძალიან ბევრი წევრი (დაფუძნების დღიდან) პარტიის კარს მიღმა და ასევე, ძალიან ბევრი ისეთი თანამოაზრე, რომელიც პარტიის ბრძოლას არა მთავრობაში, არამედ ოპოზიციაში ყოფნის დროს შემოუერთდა – ეს ხალხი გახდა მიუღებელი ახალი მენეჯმენტისათვის მათი პოზიციის გამო“, – წერს მელია და დედაქალაქში ნაციონალური მოძრაობის პოზიციებზე აკეთებს აქცენტს, - ბოლო პერიოდში, პარტიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდა, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა თბილისში. სწორედ, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, გაგვეგრძელებინა ოპოზიციური აზრის კონსოლიდაცია და საერთო მიზნისათვის ბრძოლა და როგორც თბილისში გახსნილი ოფისის, ისე ჩვენი მიზნების შესახებ ეცნობა პარტიის მენეჯმენტს. ძალა არა ერთფეროვნებაში, არამედ განსხვავებულთა ერთობაშია!“**
**რა ხდება ყოფილ მმართველ გუნდში? – „ვერსია“ ენმ-ის წარმომადგენელ ზვიად კუპრავას ესაუბრა.**

**– ზვიად, ახალი ოფისის გახსნა რატომ გადაწყვიტეთ?**

– ოფისები რაც მეტი იქნება, მით უკეთესია და მათი რაოდენობა კიდევ უნდა გაიზარდოს. როცა საარჩევნო პერიოდი გვქონდა, ყველა რაიონში, უბნებშიც კი ვხსნიდით ოფისებს. მაგალითად, თბილისში 24 ოფისი გვქონდა. რაც მეტია შეკრების ადგილი, მით უკეთესია. ლევანის დაპირება იყო, რომ გაიხსნებოდა ბევრი ოფისი და რამდენს გახსნიან, არ ვიცი, მაგრამ რაც მეტი იქნება, უკეთესია – ამაში მხოლოდ პოზიტივს ვხედავ.

**– ახლა ოფისის გახსნაზე პირდაპირი მნიშვნელობით კი არაა საუბარი, არამედ, კონტექსტზე, თუ რა ვითარებაში იხსნება. თავად მელიამ თქვა, რომ ახალი ოფისის გახსნის საჭიროება დადგა პარტიის ყრილობის შემდეგ, როცა პარტიის ბევრი წარმომადგენელი დარჩა კარს მიღმა...**

– ყრილობისა და პოლიტსაბჭოს საკითხი დღის წესრიგშია, რომელიც უნდა გადაწყდეს სწორად. თუ პოლიტსაბჭოს სტატუს-კვო არ აღდგება, ამ შემთხვევაში იქნება პრობლემა. პოლიტსაბჭო უნდა აღდგეს იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო და შემდეგ შევიდეთ არჩევნებში ანუ როცა პოლიტსაბჭოს 1/3 დანიშნულია, ეს ვერ იქნება არჩევნები, რომლის ათვლაც იწყება 0/0-დან. როცა 1/3 დანიშნულია, აბსოლუტური უპირატესობაა, ამიტომ თანასწორ არჩევნებზე თუ ვლაპარაკობთ, უნდა დავიწყოთ 0/0-დან და არა 1/3-დან, თორემ ეს არჩევნები ლეგიტიმაციის მიღმაა...

**– ამ საკითხზე, ჩემთან, წინა ინტერვიუშიც ისაუბრეთ და რას აკეთებთ იმისთვის, რომ ყრილობისა და პოლიტსაბჭოს არჩევნები, როგორც ამბობთ, ლეგიტიმურ ჩარჩოებში გაიმართოს?**

– არის კონსულტაციები და მოლაპარაკებები ამასთან დაკავშირებით. საჯარო სივრცეში რომ არ მიდის ამ საკითხის განხილვა, ეს არ ნიშნავს, რომ კონსულტაციები არ არის. იმედი მაქვს, რომ შეჯერდება და პარტია ამ პროცესებიდან გამოვა გაძლიერებული. გაძლიერებას კი დაყოფა-დაქსაქსვა არ იწვევს, არამედ – გაერთიანება. გაერთიანების ერთადერთი რეცეპტი კი ამ ეტაპზე იმ სტატუს-კვოს აღდგენა, რაც იყო ანუ 0/0-დან დავიწყოთ პოლიტსაბჭოს არჩევნები და პოლიტსაბჭოს აბსოლუტურად ყველა წევრი იყოს არჩევნებით არჩეული. ეს იქნება სწორი გზა, რომელიც გაერთიანებისკენ უბიძგებს პარტიას.

**– გასაგებია, მაგრამ პარტიის მმართველების განცხადება ახალი ოფისის გახსნის შემდეგ იყო უკიდურესად ხისტი... სეპარატიზმის მცდელობებშიც კი დაგადანაშაულეს...**

– გაექცათ სიტყვა ნამდვილად, ვერც სეპარატიზმსა და ირაკლი ნადირაძის პოზიციას გავიზიარებ, რომელმაც ისაუბრა ამ საკითხთან დაკავშირებით... მსგავსი ტერმინებით საუბარი არ უწყობს ხელს გაჯანსაღებას, ამიტომ არ მინდა, მწვავედ შევაფასო და ცეცხლზე ნავთი დავასხა, მაგრამ შეუფასებლობაც არ გამოვა. შესაბამისად, შემოვიფარგლები ამით – ალბათ, უფრო მოზომილები უნდა იყვნენ განცხადებებში და ასეთ მნიშვნელოვან დროს, ყოველ სიტყვას უნდა დაფიქრება, ეს იქნება ჩემი რჩევა. მსგავსი ტიპის განცხადებები – სუს-ის აგენტები  და „სეპარატიზმის მცდელობები„ ნამდვილად არ უწყობს ხელს პროცესის გაჯანსაღებას.

**– რომ არ გიცნობდეთ, არ გკითხავდით, მაგრამ დიდი ხანია, გაკვირდებით, როგორც პოლიტიკოსს და საკმაოდ ხისტი ხართ, ხოლმე, ყველა შეფასებაში, მაგრამ ესაა ერთადერთი საკითხი, როცა თავს მაქსიმალურად იკავებთ. რა არის ამის მიზეზი?**

– ამის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ვსაუბრობ თანაპარტიელებზე. ხისტი ვარ ხელისუფლების მიმართ, ხოლო ამ შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობთ ნაციონალურ მოძრაობაზე, მის წევრებზე. შეიძლება, ახლა ერთ აზრზე არ ვიყოთ, მაგრამ ისინი ენმ-ის წევრები არიან და შესაბამისად, მხოლოდ ესაა მიზეზი, თუ რატომ არ ვარ მათ მიმართ ხისტი და ზოგადად, არც ვაპირებ თანაგუნდელების ან სხვა ოპოზიციონერების მიმართ ხისტ დამოკიდებულებას. ჩემს მეგობრებზე ასე ვერ ვისაუბრებ...

**– გასაგებია, მაგრამ ეს მეგობრები, თუ როგორც ამბობთ, სუს-ის აგენტს გიწოდებენ, ან სეპარატიზმის მცდელობაში გადანაშაულებენ?**

– ჰოდა, ამიტომ ვამბობ, რომ უნდა დაუკვირდე ყველა სიტყვას და ისე უნდა ისაუბრო. ადამიანები, რომლებიც დიპლომატიით იყვნენ ცნობილნი, დღეს საუბრობენ ხისტი ტერმინოლოგიით და მე, რომელიც ცნობილი ვარ ხისტი შეფასებებით, პირიქით ვიქცევი ანუ აირ-დაირია ყველაფერი, როლებია გაცვლილი (იცინის)... ჩემგანაა ეს მოლოდინი და მე არ ვაკეთებ ამას და ხალხი, რომელთაგანაც სულ სხვა მოლოდინი იყო, აკეთებენ საპირისპიროს. უნდა გავასწოროთ ეს წრედი ანუ ხისტები უნდა ვიყოთ, მაგრამ უნდა ვიყოთ „ ქართული ოცნების“ და არა – ერთმანეთის მიმართ.

**– ზვიად, გამოითქვა მოსაზრება, რომ ახალი ოფისის გახსნა დაემთხვა ე.წ. ქოლცენტრებზე გამოქვეყნებულ BBC-ის ფილმს... ეს მართალია?**

– ეს, უბრალოდ, დამთხვევაა. ოფისის ძებნის პროცესი იყო მთელი ერთთვიანი და როცა მოიძებნა ოფისი, მაშინ გაირკვა.

**– ე.ი. ცალკე პარტიის შექმნა არც განიხილება ნიკა მელიას მიერ?**

– არა, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ტიპის დიალოგის მოწმე არ ვყოფილვარ.

# „მისტერ ოფშორის“ საერთაშორისო აფერა და მილიარდიანი თაღლითური სქემა

მაკა რუხაძე

## როგორ გავიდა BBC-ი დავით კეზერაშვილზე – ქოლცენტრების სკანდალის გაუხმაურებელი დეტალები

**საქართველოს ექს-თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, „ბიზნესის რეკეტით“ იყო ცნობილი და ნაციონალური მოძრაობის „მოლარესაც“ უწოდებდნენ, ქოლცენტრების საერთაშორისო სკანდალში ჯერ კიდევ შარშან გაეხვა, თუმცა, მიმდინარე წლის 12 აპრილს, ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელის – BBC ეთერში გავიდა რეპორტაჟი – ჟურნალისტური გამოძიება, რომლითაც გაირკვა, თუ რა სქემით მოქმედებდა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომლის ჩრდილოვან მმართველად სწორედ დავით კეზერაშვილი სახელდება.**

**ვიდრე BBC-ის ჟურნალისტური გამოძიების დეტალებს გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა გაგახსენოთ, რომ ქოლცენტრების სახელით ცნობილი საერთაშორისო თაღლითური ჯგუფი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს, ძირითადად პენსიონერებს, მოტყუებით დიდი ოდენობის თანხას სძალავდა. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ევროპის მასშტაბით, ქოლცენტრის თანამშრომლები უკავშირდებოდნენ სამიზნე ობიექტებს, ეცნობოდნენ გამოგონილი სახელებით, მათი კომპანიის შესახებ აწვდიდნენ ყალბ ინფორმაციას და არარსებულ ელექტრონულ სავაჭრო პლატფორმებზე ინვესტიციების ჩადებას სთავაზობდნენ. არწმუნებდნენ, რომ ინვესტირებით ისინი დიდ მოგებას ნახავდნენ. თანხა დანაშაულებრივი ჯგუფის ანგარიშებზე ირიცხებოდა, ამის შემდეგ კი ფულს სხვადასხვა კომპანიების საშუალებით ათეთრებდნენ.**

### „მისტერ ოფშორის“ მილიარდიანი აფერა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, BBC-ის საგამოძიებო რეპორტაჟის მთავარი გმირი დავით კეზერაშვილი და მის სახელთან ასოცირებული კომპანია Milton Group-ია. თუმცა რეპორტაჟში კეზერაშვილთან დაკავშირებული სხვა გვარებიც გვხვდება, კერძოდ, დავით თოდუა, რატი ჭელიძე, გურამ გოგეშვილი, იოსებ მგელაძე და მაიკლ ბენმინი. გამომძიებელმა ჟურნალისტებმა ეს ხუთი სახელი შეიტანეს „პანამის დოკუმენტებში“ და აღმოაჩინეს, რომ მათგან ოთხი – ჭელიძე, გოგეშვილი, მგელაძე და ბენიმინი – იკავებდა დირექტორის პოსტს, ან სხვა მაღალ თანამდებობას ოფშორული, გნებავთ, შვილობილი კომპანიების ჯგუფში. სწორედ ის უძღოდა წინ „მილტონის ჯგუფს“, მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერი ეს, მიდიოდა ერთ პირონვნებამდე – დავით კეზერაშვილამდე.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, დავით კეზერაშვილი ორი წლის მანძილზე იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრი, შემდეგ გაათავისუფლეს. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისთვის დაუსწრებლად გაასამართლეს. საუბარია, დაახლოებით, 5 მილიონი ევროს გაფლანგვაზე.

Milton Group-მდე საჯარო დომენში არ არსებობდა დოკუმენტი, რომელიც კეზერაშვილს ამ ქსელთან დაუკავშირებდა, თუმცა როცა ჟურნალისტებმა „პანამის დოკუმენტებს“ გადახედეს, მის სახელსაც მიაკვლიეს და ისიც გაარკვიეს, რომ კეზერაშვილი ქსელის მშობელი კომპანიების დამფუძნებლად და ერთ-ერთ პირველ აქციონერად ფიქსირდებოდა. შესაბამისად, კულისებში, კეზერაშვილი სწორედ ამ ქსელის ცენტრში აღმოჩნდა.

რაც შეეხება Milton Group-ს, ასევე არ არსებობდა საჯარო დოკუმენტი, რომელიც კეზერაშვილს თაღლითურ კომპანიებთან დააკავშირებდა. გარდა ამისა, არ არსებობდა მტკიცებულება მისი პირდაპირი ფინანსური ინტერესის შესახებ Milton-ის ბრენდებთან, მაგრამ „მილტონთან“ ასოცირებული კომპანიების რამდენიმე ყოფილმა თანამშრომელმა, BBC-ის ჟურნალისტებს კონფიდენციალურად განუცხადეს, რომ კეზერაშვილთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ და იცოდნენ, რომ ის „მილტონ ჯგუფთან“ იყო დაკავშირებული.

კეზერაშვილი თაღლითურ სავაჭრო პლატფორმებს პოპულარიზაციას სოციალურ მედიაში ხშირად უწევდა. მაგალითად, Linkedin-ზე მან გამოიყენა თავისი ანგარიში, რათა „მილტონთან“ დაკავშირებული კომპანიებისა და იქ სამუშაო ადგილების შესახებ ესაუბრა. BBC-მ შეძლო ეპოვა მრავალი სხვა მინიშნება, რომელიც საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს Milton-ის ბრენდებთან აკავშირებდა. კეზერაშვილის მფლობელობაში არსებული რამდენიმე კომპანია იყენებდა კერძო ფოსტის სერვერს, რომელთა მომხმარებლებიც მხოლოდ Milton Group-ის კომპანიები იყვნენ. მისი კომპანია Infinity VC ფლობდა ბრენდინგსა და ვებდომენებს კომპანიებისთვის, რომლებიც თაღლითური სავაჭრო პლატფორმის ტექნოლოგიას უზრუნველყოფდნენ. კეზერაშვილი ასევე ფლობდა კიევის საოფისე შენობას, სადაც განთავსებული იყო თაღლითური ქოლცენტრი, რომელიც ყიდდა EverFX-სს და ტექნიკურ ფირმებს, რომლებიც პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებას აწვდიდნენ. ის ასევე ფლობდა საოფისე შენობას თბილისში, სადაც განთავსებული იყო იმავე დანიშნულების რამდენიმე ტექნოლოგიური ფირმა.

### თაღლითობის მთავარი ფიგურანტები

როდესაც BBC-მ „მილტონის“ ჯგუფის ოთხი მთავარი წევრის სოციალური მედიის პროფილები შეისწავლა, რაც მთავარია, ქორწილებიდან და სხვა საჯარო ღონისძიებებიდან გამოქვეყნებულ ფოტოებსა გადახედა, გაირკვა, რომ თითოეულ მათგანს კეზერაშვილთან მჭიდრო სოციალური კავშირები ჰქონდა. საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი Facebook-ზე, მინიმუმ, 45 ადამიანთან „მეგობრობს“, რომლებიც Milton Group-ის თაღლითობასთან არიან დაკავშირებულნი. ოთხი გახმაურებული პირი, რომლებსაც BBC ასახელებს, მისი მეგორები და ბიძაშვილები არიან.

უფრო ადრე, კეზერაშვილთან დაკავშირებული ტრანსნაციონალური კომპანიის საეჭვო საქმიანობით შვედური და სხვა საერთაშორისო პრესაც დაინტერესდა. BBC-ის გამოძიებაში ჟურნალისტებმა ლონდონში, ჩელსიში, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის 18 მილიონ ფუნტად შეფასებული ვილაც აღმოაჩინეს. რეპორტაჟის ავტორი მისამართზე მივიდა და შეეცადა, დავით კეზერაშვილის პოზიცია მოესმინა, თუმცა დაცვის სამსახურმა მედია ტერიტორიაზე არ დაუშვა. მოგვიანებით, იურისტების საშუალებით, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა BBC-ის საგამოძიებო ჯგუფს შეუთვალა, რომ საერთო არ აქვს Milton Group-თან და არც ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან. კეზერაშვილი უარყოფს ყოველგვარ კავშირს ქოლცენტრების საქმესთან და მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს ევროპული ქვეყნების საგამოძიებო სტრუქტურებთან.

გარდა ამისა, კეზერაშვილი უარყოფს ამა თუ იმ ფინანსურ სარგებელს, რაც ამ თაღლითური სქემის საშუალებით შეეძლო, მიეღო. მისი თქმით, EverFX-ი ლეგიტიმური ბიზნესია. ბრალდებები უარყვეს ჭელიძემ, გოგეშვილმა და ბენმინმაც, თუმცა საერთაშორისო მედიაში მოიპოვება თაღლითურ სქემასთან მათი კავშირის ამსახველი მტკიცებულებები, კერძოდ, კეზერაშვილის ახლო გარემოცვის წევრის, დავით თოდუას ფოტო. ფოტო Milton Group-ის კორპორატიულ წვეულებაზეა გადაღებული, სადაც ქოლცენტრის თანამშრომლები 50-მილიონიან მოგებას აღნიშნავენ, დავით თოდუას კი „კომპანიის მამად“ მოიხსენიებენ.

თბილისში, Milton Grouo-თან დაკავშირებულ ქოლცენტრების ოფისში ქართველმა და გერმანელმა სამართალდამცველებმა რეიდი გასული წლის ნოემბერში ჩაატარეს. საპოლიციო ღონისძიებას ესწრებოდა BBC-ის ჟურნალისტთა ჯგუფიც, რომლებმაც ქოლცენტრებში კომპიუტერების ეკრანებზე პოტენციური მსხვერპლების ბაზაც აღმოაჩინეს, მათ შორის, აღნიშვნები იმის შესახებ, ვის რამდენი აქვს დანაზოგი და ვისგან რა თანხის ამოღებაა შესაძლებელი. თბილისის ხუთვარსკვლავიან ბიზნეს-ცენტრში გახსნილი ოფისიდან, ბრიტანეთის 5 ათას მოქალაქეზე გავიდნენ, ჩამონათვალშია სკანდინავიელი და გერმანელი პენსიონერებიც. ფილმში გამოყენებულია გერმანელი პროკურორის ინტერვიუ, რომლის განცხადებით, მსხვერპლი ძალიან ბევრია, მათ შორის, გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

BBC-ის 46-წუთიან სიუჟეტში, გამომძიებელმა ჟურნალისტებმა კეზერაშვილს „მისტერ ოფშორი“ შეარქვეს. დაზარალებული პენსიონერების გარდა, ჟურნალისტური გამოძიებაში საუბრობენ იმ ათასობით ახალგაზრდაზე, რომლებიც სქემაში ჩართეს და ბონუსად პენსიონერების თანხიდან პროცენტები დაუნიშნეს. ოფისები კი ევროპის ქვეყნების გარდა, ძირითადად, კიევსა და თბილისში იყო განთავსებული.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# „მისტერ ოფშორის“ საერთაშორისო აფერა და მილიარდიანი თაღლითური სქემა

*მე-6 გვერდიდან*

## რა ქონებას ფლობენ მთავარი ფიგურანტები

საინტერესოა, სად ცხოვრობენ, რა ქონებას ფლობენ, ან სხვა რა დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი ჟურნალისტური გამოძიების ფიგურანტები. BBC-ის მიერ გაშიფრული სქემით, ქოლცენტრების დანაშაულებრივ საქმეში დავით კეზერაშვილთან ერთად, მასთან დაკავშირებული რამდენიმე ქართული გვარი ფიგურირებს. ერთ-ერთი მათგანია 40 წლის დავით თოდუა. საერთაშორისო მედია მას Milton Group-ის ერთ-ერთ დამფუძნებლად აღიარებს. სწორედ ამ კომპანიას უკავშირდება ევროპის მასშტაბით ასეულობით მოქალაქის, მათ შორის, პენსიონერების გაძარცვა.

სოციალური მედიის საშუალებით ცნობილია, რომ თოდუა ფლობს მდიდრულ ვილას ისრაელში, თელავივის მახლობლად, თუმცა ცხოვრობს კვიპროსში, ხოლო საქმიანობს კიევში. დავით კეზერაშვილთან ერთად, ის უკრაინაში ფლობს სამშენებლო ბიზნესს – კერძოდ, კომპანია Project Partners-ის აქციებს დავით თოდუა საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრთან ერთად ინაწილებს.

თოდუას მსგავსად, საცხოვრებელ ადგილად კვიპროსი აქვს მითითებული BBC-ის ჟურნალისტური გამოძიების კიდევ ერთ ფიგურანტს, ისრაელის მოქალაქე მიხაილ ბენიმინს. ის დავით კეზერაშვილის ბიძაშვილია და კანონთან პრობლემები სხვა რამდენიმე ქვეყანაშიც აქვს.

იგივე პიროვნება ფიგურირებს ალბანეთში დაწყებული გამოძიების საქმეში. ამ შემთხვევაშიც, საუბარია ქოლცენტრების ქსელზე, რომლის ხელმძღვანელად ალბანურმა გამოძიებამ მიხაილ ბენიმინი დაასახელა. მისი სახელი მოექცა ისრაელის პროკურატურის ყურადღების ცენტრშიც, რადგან პარტნიორებთან ერთად, 11 მილიონ დოლარზე მეტი შემოსავლის დამალვას ედავებიან. ებრაული გამოძიების ინფორმაციით, ისრაელში დაფუძნებულმა კომპანიამ ეს თანხა კეზერაშვილის მინისტრობის დროს, საქართველოს თავდაცვის უწყებიდან, კონსულტაციებისა და შეიარაღების მიყიდვის სანაცვლოდ მიიღო, შემოსავალი კი ისრაელის შესაბამის ორგანოებს დაუმალეს.

BBC-ის ჟურნალისტურ გამოძიებაში დავით კეზერაშვილის გარემოცვის წევრადაა მოხსენებული ბიზნესმენი იოსებ მგელაძე. სწორედ მის სახელზეა რეგისტრირებული ვაკეში, „აქსის თაუერსის“ შენობაში მდებარე ის ფართი, სადაც ქართველმა და გერმანელმა სამართალდამცველებმა შარშან ნოემბერში, ერთობლივი ჩხრეკა ჩაატარეს და ქოლცენტრების ორგანიზებული ქსელი აღმოაჩინეს. თავად მგელაძე კეზერაშვილთან მეგობრობას არ უარყოფს, თუმცა ქოლცენტრებთან კავშირს არ ადასტურებს. საჯარო რეესტრის დოკუმენტებზე დაყრდნობით, ის წარსულში პირადად ხელმძღვანელობდა დავით კეზერაშვილის მიერ დაფუძნებულ კომპანიებს.

BBC-ის ჟურნალისტურ გამოძიებაში ფიგურირებს დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კიდევ ორი ქართული გვარი – რატი ჭელიძე და გურამ გოგეშვილი. დოკუმენტებში მათი სახელი ნახსენებია, როგორც დირექტორი, ან წამყვანი პირი Milton Group-თან დაკავშირებულ ოფშორულ ფირმებსა, თუ შვილობილ კომპანიებში. ახლა ქოლცენტრების ტრანსნაციონალური დანაშაულზე გამოძიებების სერია ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში მიმდინარეობს, მათ შორის ისრაელში, ალბანეთში, გერმანიასა და საქართველოში. პარალელურად, ქსელის სხვა ფიგურანტების გამოვლენას განაგრძობს საერთაშორისო მედია.

## გამოძიების სკანდალური დეტალები

BBC-ის საგამოძიებო ფილმში ავტორი ჰყვება, რომ ვიდეო-მასალა ქოლცენტრების სკანდალში გახვეული Milton Group-ის კორპორატიულ წვეულებას ასახავს. ასობით თანამშრომელი წარმატებულ და მომგებიან წელს შამპანურის შადრევნებით აღნიშნავს. გამომძიებელი რეპორტიორის მტკიცებით, ამ ადამიანებმა ევროპელ პენსიონერებს თაღლითური გზით ასეულობით მილიონი გამოსძალეს.

BBC-ის გამოძიებაში ნახსენები ჰოლდინგი, სახელწოდებით – Aqsios, ერთ-ერთი ის კომპანიაა, რომელიც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გათეთრებით იყო დაკავებული. თავის მხრივ, ამ ჰოლდინგში შემავალი კომპანიები და მათი ხელმძღვანელები უშუალოდ არიან დაკავშირებულნი დავით კეზერაშვილის საინვესტიციო ფირმა Universal Kapital Group-თან, მათ შორის, ჟურნალისტურ გამოძიებაში დასახელებული რატი ჭელიძე, გურამ გოგეშვილი და იოსებ მგელაძე.

გურამ გოგეშვილი წარმოადგენდა ალბანეთში დავით კეზერაშვილის ნავთობკომპანიასაც; ამავე ქვეყანაში, ქოლცენტრების ქსელს კი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბიძაშვილი, მიხაილ ბენიმინი, იგივე მიშკა ბენიაშვილი ედგა სათავეში.

BBC-ის გამომძიებელი ჟურნალისტი პირადად ესწრებოდა სპეცოპერაციას უკრაინაშიც, სადაც ქოლცენტრების დანაშაულებრივი ქსელი გამოავლინეს. რეპორტაჟის მიხედვით, დავით კეზერაშვილის საკუთრებაა საოფისე შენობა, რომელშიც არალეგალური ბიზნესსაქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. BBC-ის ჟურნალისტი, სიმონა ვეინგლასი კონსპირაციულად შეხვდა ქოლცენტრის ყოფილ თანამშრომელს, რომელმაც დანაშაულებრივი ქსელი ამხილა. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რეპორტაჟის ავტორები მის ვინაობას არ ამხელენ და პირობითი სახელით – „ალექსი“ მოიხსენებენ.

რეპორტაჟიდან ვიგებთ, რომ BBC-ის გადამღები ჯგუფი, გასული წლის ნოემბერში, ქართველი და გერმანელი სამართალდამცველების ერთობლივ რეიდს ესწრებოდა თბილისში, „აქსის თაუერსის“ შენობაში. ათობით კომპიუტერში კამერებმა პოტენციურ მსხვერპლთა ვრცელი ბაზა დააფიქსირეს, მათ შორის, ბრიტანეთის მოქალაქეების პერსონალური მონაცემები, სპეციალურ დაფაზე გამოკრული აღნიშვნები და სავარაუდოდ, ევროპელი პენსიონერებისგან მითვისებული თანხების ოდენობა.

თაღლითური სქემა, რომელიც BBC-ის ჟურნალისტებმა გაშიფრეს, ასეთია: მსხვერპლთა უმეტესობა სოციალურ მედიაში რეკლამების ნახვის შემდეგ რეგისტრირდება. როგორც წესი, 48 საათის განმავლობაში, მათ ტელეფონით უკავშირდებიან და ეუბნებიან, რომ დღეში 90%-მდე შემოსავლის მიღება შეუძლიათ. ხაზის მეორე ბოლოში, როგორც წესი, არის ქოლცენტრი, ლეგიტიმური ბიზნესის მრავალი მახასიათებლით – თანამედროვე ოფისი ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებით, ყოველთვიური ლიმიტებით, ბონუსებით და სხვა.

პირველი სატელეფონო ზარის შემდეგ, მსხვერპლის ვექტორი იქნება მიმართული რეგულირებადი კომპანიების ან ზოგჯერ – არარეგულირებადი, ოფშორული სუბიექტებისკენ. ზოგიერთ ინვესტორს, რომელიც Milton Group-ის ფარგლებში რეგულირებულ ბრენდებს გამოიწერს, ბროკერი აძლევს მითითებას, შევიდეს ისეთ გარიგებებში, რომლებიც გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით დანაშაულად ითვლება. ზოგიერთ მსხვერპლს სთავაზობენ, ჩამოტვირთოს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც თაღლითებს საშუალებას აძლევს, დისტანციურად აკონტროლონ მისი კომპიუტერი და განახორციელონ ტრანზაქციები, რაც უკანონო ქმედებაა.

**„მსხვერპლები ფიქრობენ, რომ მათ კომპანიაში რეალური ანგარიში აქვთ. თუმცა, რეალურად, არანაირი ვაჭრობა არ ხდება, ეს მხოლოდ სიმულაციაა“,** – ამბობს ალექსი, რომელიც Milton Group-ის ყოფილი თანამშრომელია.

თაღლითური გეგმის უკეთ გასაგებად, BBC-ის გამომძიებელი ჟურნალისტი, ახალბედა ტრეიდერის რანგში, დაუკავშირდა Milton Group-ის ერთ-ერთ სავაჭრო პლატფორმას – Coinevo. ჟურნალისტს დაუკავშირდა კონსულტანტი, რომელიც პატრიკის სახელით გაეცნო და უთხრა, რომ მას შეუძლია, ერთ დღეში 70%-იანი, 80%-იანი ან 90%-იანი მოგების მიღება. ვაჭრობის დასაწყებად, ქოლცენტრის თანამშრომელმა ჟურნალისტს უთხრა, რომ 500 დოლარის ბიტკოინი უნდა გაეგზავნა. ამის შემდეგ, პატრიკმა BBC-ის საიდუმლო ტრეიდერს მოსთხოვა, პასპორტის ასლი გაეგზავნა და ყალბი ასლის მიწოდების შემდეგ, გამოცემამ ამ ანგარიშის გაგრძელება შეძლო დაახლოებით ორი თვით, სანამ ეს სიყალბე არ გამოაშკარავდა. ამას მოჰყვა აგრესიული ელექტრონული ფოსტა პატრიკისგან და კავშირიც გაწყდა.

თუმცა BBC-ის დეპოზიტი უკვე სისტემაში იყო. ჟურნალისტებმა შეძლეს მიეკვლიათ მისთვის, რადგან ის დაყოფილი იყო პატარ-პატარა ნაწილებად და გადაინაცვლა ბევრ სხვადასხვა ბიტკოინ საფულეში, რომლებიც, როგორც ჩანს, Milton Group-თან იყო დაკავშირებული. ექსპერტებმა BBC-ის განუცხადეს, რომ რეალური ფინანსური ინსტიტუტები ფულს ამ გზით არ ატარებენ. კრიპტოვალუტისა და თაღლითობის საკითხებში სპეციალიზებულმა იურისტმა ლუიზა ებოტმა გამოიკვლია ფულის ნაკადი და თქვა, რომ ეს „მსხვილმასშტაბიანი ორგანიზებული დანაშაულია“.

გასული წლის ნოემბერში, თბილისში ჩატარებულ სპეცოპერაციას, ქართველ კოლეგასთან ერთად, უშუალოდ ხელმძღვანელობდა გერმანელი პროკურორი. მისი თქმით, დანაშაულებრივი სქემა იმდენად მრავალწახნაგოვანი და ჩახლართულია, რომ სამართალდამცველები გამოძიების პროცესში მთელ რიგ სირთულეებს წააწყდნენ, თუმცა იპოვეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

ქოლცენტრების ტრანსნაციონალური ქსელის საერთაშორისო გამოძიება გრძელდება. არ არის გამორიცხული, BBC-ის რეპორტაჟის ქართველი ფიგურანტები საერთაშორისო გამოძიების ფარგლებში გამოიკითხონ.

# რა დარღვევები აღმოჩნდა „აჭარის პროექტების მართვის კომპანიაში“

მაკა რუხაძე

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური „აჭარის პროექტების მართვის კომპანიით“ დაინტერესდა. შესაბამისობის აუდიტი, რომელიც სახელმწიფო უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2020-2021 წლებს მოიცავს. დარღვევები შემოსავლებსა და ხარჯებში, სახელმწიფო შესყიდვებში, სამშენებლო სამუშაოების შესრულებასა და ანაზღაურებაში – ეს იმ ხარვეზების მცირე ჩამონათვალია, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს.**

## სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

### ხარვეზები შემოსავლებსა და ხარჯებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ კომპანიის საკუთარი შემოსავლები აუდიტის პერიოდში 11 851 814 ლარი იყო. ამავე პერიოდში გაიხარჯა 17 158 528 ლარი. ფინანსური შედეგების შესაბამისად, პროექტების მართვის კომპანიამ 2020 წელი 275 047 ლარის მოგებით, ხოლო 2021 წელი – 5 581 761 ლარის ზარალით დაასრულა, რაც ძირითადად, აქტივებზე დარიცხულმა ცვეთამ განაპირობა.

შეგახსნებთ, რომ ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში, საიჯარო ქირა და მისი გადახდის პირობები განისაზღვრება შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით. ამასთან, საიჯარო გადასახადის გადახდის ვალდებულება ბუღალტრულად აისახება მოთხოვნებში. ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები უნდა შეესაბამებოდეს, როგორც კომპანიის, ასევე სახელმწიფო ინტერესებს და უზრუნველჰყოფდეს აქტივების სწორ, ეფექტიან გამოყენებას.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ პროექტების მართვის კომპანიამ, პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ანაგთან“ გააფორმა ხელშეკრულებები ბუნებრივი ბალახის ზრდის ხელოვნური სანათი მოწყობილობების იჯარით გაცემის შესახებ, თუმცა აუდიტორული პროცედურების შედეგად აღმოჩნდა, რომ სანათი მოწყობილობები ექსპერტების მიერ მითითებულ პერიოდში სრულად არ იყო გამოყენებული.

სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები გამოავლინეს საწვავის ხარჯებშიც. ზოგადად, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვისთვის, დოკუმენტურად უნდა დადასტურდეს, რომ გახარჯული საწვავი უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას.

გარდა ამისა, გადასახადის გადამხდელმა, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საწვავის ხარჯვის დასადასტურებლად, უნდა აწარმოოს განვლილი მანძილის რეესტრი, მარკის სატრანსპორტო საშუალების საწვავის ხარჯვის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. ამასთან, ოდომეტრის ჩვენება, არანაკლებ, თვეში ერთხელ უნდა დაფიქსირდეს. საწვავი ჩამოიწერება ფაქტობრივი ხარჯვისა და ცალკეული მარკის სატრანსპორტო საშუალების საწვავის ხარჯვის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საიჯარო გადასახადისა და პირგასამტეხლოს სახით გადაუხდელია 198 233 ლარი, ხოლო სათანადო დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გახარჯულია 13 341 ლარის საწვავი. ამასთან, არ არის უზრუნველყოფილი აქტივების ეფექტიანი გამოყენება.

### ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

როგორც მოსალოდნელი იყო და რეალურად, რაც უკვე აღარ გვიკვირს, დარღვევები აღმოჩნდა სახელმწიფო შესყიდვებში. ამიტომ, ამ მხრივ, გამონაკლისი არც „აჭარის პროექტების მართვის კომპანიაა“ მაშინ, როდესაც სახელმწიფო შესყიდვებში ხარვეზები ვლინდება მთავრობის ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებშიც კი.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ აუდიტის პერიოდში განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება 292 746 998 ლარი შეადგინა, მათ შორის, აუდიტის პერიოდში გაფორმდა 195 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით – 18 554 067 ლარი. გარდა ამისა, სატენდერო კომისიამ, რიგ შემთხვევებში, არასათანადოდ განსაზღვრა პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სახელმწიფო შესყიდვების შერჩევა-შეფასების ეტაპზე მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებმაც ტენდერების პროცედურა გაახანგრძლივა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაც შეაფერხა.

**„კერძოდ, საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის შესახებ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, პირველად, 2016 წლის 20 იანვარს გამოცხადდა, თუმცა ხელშეკრულება შპს „სიემსისთან“ მხოლოდ 2018 წლის 5 ივლისს ანუ 895 დღის შემდეგ გაფორმდა. ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გაირკვა, რომ ხელშეკრულებები დაგვიანებით გაფორმდა, რადგან ექვსი ტენდერი უშედეგოდ დასრულდა, რომელთაგან სამ შემთხვევაში – კომპანიის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებები შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭომ უსაფუძვლობის გამო გააუქმა. დავების განხილვის საბჭომ მიიჩნია, რომ სატენდერო კომისიას სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, არასრულყოფილად იმსჯელა პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილებასთან დაკავშირებით, მიწოდებული ინფორმაცია არ განიხილა შინაარსობრივად, რაც სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შეფასებისას მიღებულ არაარგუმენტირებულ გადაწყვეტილებებზე მიუთითებს“.**

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 170-საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები, პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის არასწორად წარმოდგენის გამო, უარყოფითი შედეგით დასრულდა, რის გამოც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების სავარაუდო ღირებულება 665 182 ლარიდან, 750 000 ლარამდე გაიზარდა. პასუხიმგებელი პირების განმარტებით, ტენდერის სავარაუდო ღირებულება ბაზრის კვლევისა და ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით განისაზღვრა, თუმცა კონკრეტული ტენდერის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის გაანგარიშება კომპანიამ სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინა.

### ხარვეზები სამშენებლო სამუშაოების შესრულება-ანაზღაურებაში

საქართველოს ტერიტორიაზე, სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმებისა და წესების მიხედვით, მშენებლობის საპროექტო ხარჯთაღრიცხვები ლოკალურ-რესურსული მეთოდით, სახარჯთაღრიცხვო ლიმიტებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით უნდა იყოს წარდგენილი. დროებითი შენობა-ნაგებობების ხარჯი შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც ფაქტობრივი დანახარჯების, ასევე სამუშაოების სახარჯთაღრიცხო ღირებულებიდან, შესაბამისი პროცენტული ანარიცხების შესაბამისად. ამასთან, დროებითი შენობა-ნაგებობების ღირებულების ფაქტობრივი დანახარჯებით ანაზღაურების შემთხვევაში, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში უნდა იყოს მოცემული აღნიშნული შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი. ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა „აჭარის პროექტების მართვის კომპანიაში“. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საფეხბურთო სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად, დროებითი შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის გათვალისწინებულია ანარიცხები სახელშეკრულებო ღირებულების 1.5%-ის ოდენობით. აუდიტის პერიოდში, შპს „ანაგიდან“ გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად გაირკვა, რომ კომპანიაში, დროებით შენობებთან დაკავშირებული ხარჯები ინდივიდუალურად არ აღურიცხავთ.

საფეხბურთო სტადიონის, კლინიკური საავადმყოფოსა და სპორტული კომპლექსის მშენებლობის შესყიდვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვებს დაემატა ახალი სამუშაოები, რომელთა ღირებულებაც ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო.

**„აუდიტის პერიოდში, შერჩევითი წესით მშენებელი კომპანიებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით დადგინდა, რომ აღნიშნული სამუშაოები შესრულებული აქვთ ქვეკონტრაქტორ კომპანიებს, რომელთა მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებით განისაზღვრებოდა სამუშაოთა ფაქტობრივი ღირებულება. ფაქტობრივ დანახარჯებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად კი გამოვლინდა, რომ ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ. 15-ში მდებარე სპორტულ კომპლექსში, პარკეტის იატაკის დაგების სამუშაოების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „საბა კონსტრაქშენს“ გაფორმებული აქვს შპს „მედეგთან“, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული სამუშაოები შპს „ბაუფლექსს“ დაუკვეთა. სამუშაოების მიღება-ჩაბარების შესახებ 2021 წლის 14 ივლისს გაფორმებული აქტით, სულ შესრულებულია 585 975 ლარის (დღგ-ის გარეშე) ღირებულების სამუშაოები, რაც 144 626 ლარით ნაკლებია ძირითადი კონტრაქტორის – შპს „საბა კონსტრაქშენის“ მიერ შესრულებულად ნაჩვენებ სამუშაოთა ღირებულებაზე“.**

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ პროექტების მართვის კომპანიაში არსებულმა შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველჰყო სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით არსებული რეგულაციებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულების სათანადო დადასტურება. გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვების არასათანადო დაგეგმვა-განხორციელების შედეგად, ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროექტი ვერ დასრულდა.

# სამართალი

№14 26 აპრილი 2023 წ


# ქურდობების სერია თბილისში

## როგორ გახდა პედაგოგი კრიმინალური ბანდის წევრი

ბათო ჯაფარიძე


**რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს დანაშაული, თუ მას ერთი და იგივე დაჯგუფება სჩადის? – ფილმებში ყველაფერი ეს, ლამაზად სრულდება, გამომძიებელი ან გამომძიებელთა ჯგუფი ვირტუოზულად ხსნის საქმეს და დამნაშავეებს მაშინ აკავებენ, როცა ამას არ ელოდებიან, რეალურად კი, საქმე ბევრად რთულადაა და არც ისე მარტივად ხდება კვალზე გასვლა.**

80-იანი წლების მიწურულს, მაშინ, როცა თითქოს ყველგან სიმშვიდე იყო და მძიმე დანაშაულები არ ხდებოდა, თბილისში ბინა გაქურდეს. პრინციპში, ამას ქურდობასაც ვერ დაარქმევდი, უფრო ძარცვა იყო – ადამიანი შინ ბრუნდებოდა, კარი გააღო და როცა შესვლას აპირებდა, კიბეზე მიმავალი ორი ახალგაზრდა ეცა, ღია კარში შეაგდო, გაკოჭა და ბინა პირწმინდად დაცალა. საინტერესო ის გახლდათ, რომ იმ ადამიანს შინ არცთუ მცირე თანხა ჰქონდა, მაგრამ როგორც თავად ამბობდა, უახლოესი მეგობრის გარდა, ეს არავინ იცოდა და რაც მთავარია, მეგობარს ამის შესახებ ძარცვამდე ერთი საათით ადრე უთხრა. რა გამოდიოდა? ერთ საათში, მეგობარმა მოასწრო, „პადელნიკიც“ იშოვა და ფულიც გაიტაცა? დაზარალებული თავდამსხმელთა გარეგნობაზე ვერაფერს ამბობდა, ხელი ზურგიდან მკრეს, სახით დავეცი და მერე იატაკიდან თავი არ ამაწევინესო. ისიც კი ვერ თქვა, ეკეთათ თუ არა ნიღბები თავდამსხმელებს. ძალოვნებს ბევრი არ უფიქრიათ და მეგობარი დააკავეს, რამაც ის ძალიან გააოცა და მართალიც იყო – მეორე დღეს, როცა მთავარი ეჭვმიტანილი წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებოდა, მორიგი დანაშაული მოხდა – იგივე ხელწერა, იგივე „პროცედურა“ და... თავდამსხმელებს კვლავ გაუმართლათ – ამჯერადაც მსხვილი თანხა წაიღეს. როცა სამართალდამცავებმა დაზარალებული დაკითხეს, მან აღიარა, რომ თანხა ჰქონდა და ამის შესახებ... მხოლოდ მისმა დამ იცოდა, რომელსაც თანხაზე, თავდასხმამდე სამი საათით ადრე, მეტროში ესაუბრა, შემდეგ საქმეზე წავიდა, ბოლოს კი, როცა სახლში დაბრუნდა, კარი გააღო, მოულოდნელად ხელი კრეს, დააბეს და ბინა გაასუფთავეს.

ეს არ იყო შემთხვევითობა და რაც მთავარია, ეს არ იყო დილეტანტების მიერ ჩადენილი დანაშაული. თავდამსხმელებმა ძალიან კარგად იცოდნენ, სად უნდა ეძებნათ ფული და მიჰქონდათ მხოლოდ ფული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი დაკავება ურთულესი საქმე იქნებოდა. მძარცველების აღწერილობაზე ვერც მეორე დაზარალებულმა თქვა რამე, რადგან არ დაუნახავს. მეორე შემთხვევიდან ორი კვირა იყო გასული, როცა იგივე განმეორდა. რაც ყველაზე საინტერესო გახლდათ, დაზარალებული ამ შემთხვევაშიც ამბობდა, რომ ფული ჰქონდა, ამის შესახებ ცოლს ესაუბრებოდა და გეგმავდა, როგორ უნდა დაეხარჯა ნაწილი ბინის რემონტში, ნაწილი – აგარაკის და ნაწილით ახალი ტელევიზორი ეყიდა. ცოლ-ქმარი შინ ერთად დაბრუნდნენ, სახლის კარი გააღეს და უკნიდან ძლიერი დარტყმა იგრძნეს, ორივე გაღებულ კარში შევარდნენ და იატაკზე მუცლით გასრიალდნენ. ქალმა დაყვირება მოასწრო, თუმცა პირში მისივე თავშალი ჩასჩარეს და სწორედ ამ დროს, მან თავდამსხმელისთვის კბენა მოასწრო, სახე კი... სახეზე სვიტერის საყელო ჰქონდა აფარებული. სამაგიეროდ, თავსაფარზე როგორც კანის ნარჩენი, ისე სისხლის რამდენიმე წვეთი დარჩა და ეს უდიდესი წარმატება იყო – ძალოვნებს რაღაც ხელმოსაჭიდი გაუჩნდათ. ამასთან, ყველა დანაშაული საღამოს საათებში ანუ სამსახურების დასრულების შემდეგ იყო ჩადენილი და ესეც არ გახლდათ უმნიშვნელო ფაქტი. ორ საათში სამართალდამცავებმა იცოდნენ ერთ-ერთი დამნაშავის სისხლის ჯგუფი, სამ დღეში კი იცოდნენ, რომ ის 32-35 წლის იყო, ეს კანის ნაწილაკის ანალიზმა აჩვენა, თუმცა... მეტი ვერაფრის გაგება შეძლეს.

სამი ძარცვის შემდეგ, დამნაშავეები გაქრნენ და ეს მოსალოდნელიც გახლდათ. სამივე ბინიდან, საერთო ჯამში, 20 ათას მანეთამდე წაიღეს და ეს დიდი თანხა იყო. თუ მძარცველი მხოლოდ ორი იყო, 10-10 ათასი კარგა ხანს ეყოფოდათ და მართლაც, სამი-ოთხი თვე მათგან არაფერი ისმოდა, თუმცა... შემდეგ ისევ დაიწყო და ისევ ორი კვირის განმავლობაში, რამდენიმე თავხედური ძარცვა, წაღებული 25 ათასი და ყველა შემთხვევაში, დაზარალებულების ნათქვამი, რომ ფულზე ოჯახის წევრს ან უახლოეს მეგობარს ესაუბრებოდნენ, თუმცა თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე. ეს საუბარი შედგა მეტროში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ბაზრის დახლთან, ლუდხანაში... ზედიზედ ჩადენილი რამდენიმე ძარცვის შემდეგ, მძარცველები კვლავ გაქრნენ, სამართალდამცავებს კი შესაძლებლობა მიეცათ, ცოტა უფრო მეტად და წყნარად ეფიქრათ. გაჩნდა ვერსია, რომ ორი მძარცველი უბრალოდ დადიოდნენ თბილისის ქუჩებში და ყურადღებით უსმენდნენ ადამიანებს, როგორც კი საუბარი ფულზე ჩამოვარდებოდა, ისინი დეტალებს იგებდნენ, შემდეგ კი მსხვერპლს სახლამდე მიჰყვებოდნენ (აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ვიღაც უკან მიჰყვებოდა) და მოულოდნელი თავდასხმის იმედად, რისკავდნენ ბინის გაძარცვას. ორ შემთხვევაში, ბინაში სხვა ადამიანები იყვნენ, მაგრამ თავდამსხმელები ფიზიკურად კარგად გახლდნენ მომზადებულნი, მუშტის ერთი მოქნევით აგდებდნენ ადამიანებს იატაკზე და შემდეგ ხელებს უკრავდნენ. თოკს ყოველთვის ადგილზე ტოვებდნენ. ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი თოკი იყო, რომელიც ყველა ბაზარსა თუ მაღაზიაში თაისუფლად იყიდებოდა და მასზე არც თითის ანაბეჭდები რჩებოდა, არც – სხვა რამ...

ამასობაში, პირველი დანაშაულის ჩადენიდან წელიწადზე მეტი გავიდა და სამართალდამცავები წინ ნაბიჯითაც ვერ წავიდნენ. მორიგი ტალღაც სამ-ოთხ თვეში დაიწყო და ძალოვნებს გაუმართლათ – ერთ-ერთი ბინის ძარცვის დროს, მძარცველს ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოუვარდა, რომელზეც რამდენიმე ანაბეჭდი მკაფიოდ ჩანდა. ახლა გამომძიებლებს ანაბეჭდებიც ჰქონდათ, მაგრამ არც ეს გამოდგა სამხილი – კარტოთეკაში ისინი უბრალოდ არ იძებნებოდა ანუ დამნაშავეები გასამართლებულები არ იყვნენ. რა უნდა ექნა შსს-ს? ტელევიზიით ხომ არ გამოაცხადებდა, ფულზე ქუჩაში და ახლობლებთან არ ისაუბროთო? ყოველი შემთხვევისთვის, ჩატარდა ექსპერიმენტი, რამდენიმე დღის განმავლობაში, ოპერმუშაკები საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობდნენ და ფულზე ხმამაღლა საუბრობდნენ, მაგრამ არავინ ადევნებიათ. ეს თივის ზვინში ნემსის ძებნას ჰგავდა და ძალიან იშვიათ გამართლებას უნდა ჰქონოდა ადგილი, რაც არ მოხდა.

ერთ წელს მეორე მიჰყვა, მერეს – მესამე, მეოთხე, მეხუთე... აღნიშნულ საქმეზე გამომძიებლები იცვლებოდნენ, მაგრამ წინ ვერავინ მიიწევდა. მძარცველები თავს წელიწადში ორ-სამჯერ ახსენებდნენ და შემდეგ ქრებოდნენ. ამაოდ მუშაობდა აგენტურული ქსელიც, არავინ არაფერი იცოდა და „კანონიერი ქურდებიც“ მხრებს იჩეჩავდნენ, ჩვენები არ არიან, ვინმე დილეტანტები იქნებიანო, მაგრამ დილეტანტები ასე რომ არ მოიქცეოდნენ და ერთ მნიშვნელოვან შეცდომას მაინც რომ დაუშვებდნენ, ცხადი იყო. ექვსი წლის მანძილზე, საქმემ წინ ვერ წაინია და... სასწაული მოხდა – მორიგი თავდასხმის დროს, ერთ-ერთმა დაზარალებულმა სამართალდამცავებს დაბეჯითებით უთხრა, ვიცი, ვინც გამძარცვა, ეგ კაცი მანქანების ხელოსანია, ჩემი ძმის მანქანა დავუტოვეთ ადრე გასაკეთებლად და წამოსაყვანად მე მივედიო. იმის გამო, რომ ხელოსნის არც ანაბეჭდი ჰქონდათ და არც სხვა მტკიცებულება, თვალთვალი დაუწყეს, თუმცა ძალიან ფრთხილად და ამ საქმეში უშიშროების თანამშრომლებიც ჩართეს, რადგან ისინი ჩუმი თვალთვალის სპეციალისტები იყვნენ. მალე გაირკვა, რომ მანქანების ხელოსანს სამი უახლოესი მეგობარი ჰყავდა, ერთი მასწავლებელი, ერთი ინჟინერი და ერთიც წარსულში ნასამართლევი პირი, რომელიც დარაჯად მუშაობდა. ყველას ჰყავდა ოჯახები – ცოლი, შვილი და უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდნენ. ეს ოთხეული საღამოობით ხშირად იკრიბებოდნენ, ლუდს წრუპავდნენ, თევზს ძიძგნიდნენ, მაგრამ რამდენჯერაც მათი საუბრის მოსმენა მოახერხეს ძალოვნებმა, იმდენჯერ საინტერესო ვერაფერი მოისმინეს.

თვალთვალში სამი თვე გავიდა, პირველი დანაშაულის ჩადენიდან კი – შვიდი წელი. ნანატრი დღეც დადგა – ოთხეულმა საეჭვოდ დაიწყო მოძრაობა ბაზარში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში... მალე ისინი ვიღაც კაცს აედევნენ, სახლამდე მიჰყვნენ, ინჟინერი და მანქანის ხელოსანი სადარბაზოში შევიდნენ, მასწავლებელი და დარაჯი გარეთ დარჩნენ. ცოტა ხანში, შესულები უკან გამოვიდნენ, სწრაფი ნაბიჯით დატოვეს იქაურობა და გაიფანტნენ. მცირე ზომის ფუთა ხელოსანს მიჰქონდა. მან ტაქსი გააჩერა და გეზი სამსახურისკენ აიღო, ბოქსში შევიდა, ფუთა გასაკეთებლად დატოვებული მანქანის სალონში ჩადო და ის იყო გამოსვლას აპირებდა, როცა სამართალდამცავებმა იარაღი მიუშვირეს. მანქანის ხელოსანი არც განძრეულა, ხელები გაკვირვებით გაშალა და ძალოვნებს წაჰყვა. მის ჩვენებაზე ბევრი იყო დამოკიდებული, ამიტომ ერთბაშად რამდენიმე გამომძიებელი ესაუბრებოდა, მაგრამ ლაპარაკის ხასიათზე აშკარად არ იყო. პარალელურად, სამართალდამცავებმა ბანდის დანარჩენი წევრებიც აიყვანეს... ადრე ნასამართლევი პირის გარდა. როგორც ჩანს, მან მდევარი შენიშნა და მიიმალა (სხვათა შორის, ის დღემდე ძებნაშია).

როცა ამ ადამიანების დაკავების ამბავი გაიგეს, მთელი სანათესაო, სამეგობრო, სამსახურები ყალყზე დადგნენ, უპატიოსნეს ხალხს იჭერთო, თუმცა ძალოვნები შეუვალნი გახლდნენ. რაც მთავარია, ფუთაში ბოლო ბინიდან წაღებული ფული იპოვეს, რაც აშკარა სამხილი იყო. იმის მიხედავად, რომ არცერთმა დაკავებულმა დანაშაული არ აღიარა, სასამართლომ თითოეულ მათგანს 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რაც მაქსიმალური სასჯელი გახლდათ. მთავარი მტკიცებულება, რომ სამართალდამცავები არ შემცდარან, ის გახლდათ, რომ სამეულის დაკავების შემდეგ, ანალოგიური დანაშაულები შეწყდა.

# ვინ არის ცნობილი ქართველი რეპერი, რომელიც ნარკოდილერობისთვის 15-წლიან სასჯელს იხდის

## როგორ გავიდნენ ძალოვანები დამნაშავეზე და რატომ ფიგურირებენ საქმეში რუსი ჟურნალისტები

ბათო ჯაფარიძე

**ნარკოდამოკიდებული ადამიანებისა და ნარკოტიკების გამსაღებლების პრობლემა, მერამდენე წელია, გადაუჭრელია. ვაღიაროთ – მასშტაბური სპეცოპერაციები ტარდებოდა ყოველთვის და ტარდება ახლაც, ათეულობით ნარკორეალიზატორს იჭერენ, მაგრამ შედეგი მაინც არ არის – საქართველოში (ისევე, როგორც პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში), ნარკოტიკების შეძენა პრობლემას არ წარმოადგენს. მით უმეტეს, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ინტერნეტაპლიკაციების მეშვეობით, ნარკოტიკების შეძენა თანდათან იოლდება, ნარკოდილერების გამოვლენა კი პირიქით – რთულდება.**

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, 2014 წელს ანუ მაშინ მოხდა, როცა მთელი ქვეყანა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებით იყო დაკავებული და ნარკოდილერების ნაცვლად, სამართალდამცავები ოპოზიციის იმ აქტივისტებს დასდევდნენ, რომლებიც არეულობის შემოტანას ცდილობდნენ. მაშინ ოპოზიცია იმუქრებოდა, რომ არჩევნებს რამდენიმე მუნიციპალიტეტში მოიგებდა და 2012 წლის გამარჯვებას „ქართულ ოცნებას“ ცხვირში ძმრად ამოადენდა.

ყველაფერი ძალიან მარტივად დაიწყო – სამართალდამცავებმა რამდენიმე ახალგაზრდა „განგრეულ კაიფში“ დააკავეს, რომლებმაც თქვეს, რომ ნარკოტიკი ერთ-ერთი ცნობილი რეპერის მიერ გამართულ კონცერტზე შეიძინეს. კონცერტზე ნარკოტიკის შეძენა ახალი ამბავი არავისთვის ყოფილა, ამიტომ ამას დიდი ყურადღება არ მიაქციეს, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე სხვა განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდები და მათაც დაადასტურეს, რომ ნარკოტიკი... იმავე რეპერის კონცერტზე შეიძინეს. ორივე შემთხვევა პატაკში იყო შეტანილი და გაფართოებულ თათბირზე აღმოაჩინეს, რომ კონკრეტული რეპერის კონცერტზე ნარკოტიკი იყიდებოდა. ძალოვნებმა გადაწყვიტეს, ამ ამბავს ყურადღებით მოჰკიდებოდნენ, ამიტომ თავად მოიკითხეს, სად იმართებოდა მომდევნო კონცერტი და აღმოჩნდა, რომ რეპერი თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში რეპავდა. სამოქალაქო ფორმაში გადაცმული თანამშრომლები ხალხში გაერივნენ და გაოცდნენ – რეპერი სცენაზე მმართველი პარტიის მხარდამჭერი მაისურით გამოვიდა, ხალხს მოუწოდა, „ოცნებას“ მხარი დაუჭირეთო და კონცერტიც დაიწყო. მსუბუქი, კლუბური ნარკოტიკი პირდაპირ სცენასთან იყიდებოდა და სამართალდამცავებმა ყველაფერი ზემდგომებს მოახსენეს, პარალელურად, კონცერტის დასრულებას არ დაელოდნენ და „მხიარული აბების“ გამყიდველები განყოფილებაში მშვიდად წააბრძანეს. თავის მხრივ, ზემდგომებმა პარტიის ცენტრალურ შტაბს შეატყობინეს და აღმოჩნდა, რომ... მმართველი გუნდი აღნიშნულ კონცერტებთან კავშირში არ იყო, არც რეპერს აფინანსებდა და ზოგადად, წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ მხარდასაჭერად, ვინმე დამოუკიდებლად მღეროდა. პოლიციელებს ყველაფერი ეს ძალიან გაუკვირდათ, რადგან პოპულარობის მიუხედავად, რეპერს ნამდვილად არ ჰქონდა იმდენი შემოსავალი, რომ დამოუკიდებლად ექირავებინა აპარატურა, დამოუკიდებლად ჩაეტარებინა კონცერტები და თანაც, ამის შესახებ პარტია საქმის კურსში არ ჩაეყენებინა. აქ სხვა რაღაც ხდებოდა და ის „სხვა“ უნდა გაერკვიათ ძალოვნებს.

მას შემდეგ, რაც ბოლო კონცერტზე ნარკოდილერები დააკავეს, რეპერს კონცერტი არ დაუანონსებია, თუმცა დაკავებულებმა ერთხმად აღიარეს, ნარკოტიკებს რეპერი გვაძლევდა, უფასო კონცერტებსაც ამიტომ მართავდაო, თუმცა მხოლოდ მათი ჩვენების საფუძველზე მომღერლის დაკავება ვერ მოხერხდებოდა, რადგან ინტერესში იყო, რომ დანაშაული სხვისთვის გადაებრალებინათ, სხვა კი სწორედ რეპერი იყო და ყველაფერი იდეალურად გამოვიდოდა. ამიტომ, ძალოვნები ელოდებოდნენ, როდის გამოვიდოდა რეპერი კვლავ ასპარეზზე, დაკავებულები ნარკოტიკების წარმომავლობის შესახებ აღარაფერს ამბობდნენ, რეპერმა მოგვცა და არ ვიცით, საიდან მოიტანაო.

რეპერი კი ახალი კონცერტის დაანონსებას არ ჩქარობდა. მასზე თვალთვალიც იყო დაწესებული, მაგრამ როგორც ჩანს, ზედმეტად ფრთხილობდა, რადგან სახლიდან არ გამოდიოდა და სტუმრადაც მხოლოდ მეგობარი გოგონა თუ მიდიოდა. პარალელურად, საარჩევნო სიტუაცია უფრო და უფრო ხურდებოდა, მმართველი პარტიის მიერ გამართულ კონცერტებზე რამდენჯერმე პრევენციული ღონისძიებები ჩატარდა და არცერთ შემთხვევაში ნარკოტიკის გაყიდვის ფაქტი არ გამოვლენილა. არჩევნებამდე ორი დღით ადრე, რეპერმა მორიგი კონცერტი დააანონსა და ძალოვნებმაც მთელი ყურადღება მასზე გადაიტანეს, თუმცა საინტერესო ის იყო, რომ კონცერტზე, მაყურებელზე მეტი, სამოქალაქო ფორმაში გადაცმული პოლიციელები იყვნენ და რა თქმა უნდა, ნარკოტიკი არავის შეუთავაზებია, იმის მიუხედავად, რომ ძალოვნები კლუბურ აბებს გულდაგულ ეძებდნენ და ფულსაც „ამარიაჟებდნენ“. კონცერტიც ძალიან მოკლე გამოვიდა, მხოლოდ რამდენიმე სიმღერა და რეპერმა აპარატურა აკეცა. პოლიციის თანამშრომლები ანალიზის შემდეგ მიხვდნენ, რომ რეპერმა სიტუაცია, უბრალოდ, დაზვერა, დატესტა, შეამოწმა და დარწმუნდა, რომ უთვალთვალებდნენ. ამით დასტურდებოდა ის, რომ დამნაშავე და ნარკოტიკების გამავრცელებელი იყო, მაგრამ მედალს მეორე მხარეც ჰქონდა – ის მიხვდა, რომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო და ფაქტზე მისი დაკავება გაჭირდებოდა. ამის მიუხედავად, თვალთვალი გაგრძელდა.

არჩევნების დასრულების შემდეგ, რეპერი თავს არაფრით ახსენებდა სამართალდამცავებს, თუმცა ძალოვნებმა ზუსტად იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად დაუბრუნდებოდა ძველ საქმიანობას და ამიტომ ფხიზლობდნენ. მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა პოლიციასთან თანამშრომლობა გადაწყვიტა და პირობა დადო, რომ როგორც კი რეპერი კონცერტის გამართვას დააპირებდა, ამის შესახებ ძალოვნებს ეცოდინებოდათ. ასე გავიდა ერთი თვე და გამომძიებლებმა ინფორმაცია მიიღეს – რეპერი დახურულ საღამოს აწყობდა, სადაც ადამიანები მხოლოდ მოსაწვევებით დაიშვებოდნენ, რაც იქ რომელიმე პოლიციელის მოხვედრას ავტომატურად გამორიცხავდა. მათ ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მომღერალს ნარკოტიკების მორიგი პარტიის გასაღება სურდა, მაგრამ როგორ უნდა მიეღოთ მტკიცებულებები? მაშველად ისევ მეგობარი მოევლინათ, რომელმაც ძალოვნების მიერ გადაცემული სათვალთვალო კამერები დაამონტაჟა იმ სახლში, სადაც საღამო გაიმართებოდა და საგულდაგულოდ შენიღბა, თუმცა ყველაფერ ამის მინუსი ის იყო, რომ ვიდეოთვალი პირდაპირ ეთერში ვერ გადასცემდა კადრებს, მხოლოდ იწერდა და ამიტომ, შედეგი საუკეთესო შემთხვევაში, მეორე დღისთვის ექნებოდათ.

წვეულება ჩატარდა, მაგრამ პოლიციის ინფორმატორი ისე დათვრა, ვიდეოთვალის მოხსნა და ძალოვნებისთვის გადაცემა მხოლოდ საღამოსთვის მოახერხა. ვიდეოში ნაარკოტიკების გაყიდვის პროცესი კარგად ჩანდა, თანაც თავად რეპერი ყიდდა და რაღა თქმა უნდა, მისი დაკავების ორდერიც მარტივად გაიცა, თუმცა პოლიცია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა – რეპერმა წვეულების დასრულებიდან ორ საათში, საქართველო დატოვა და უკრაინაში გაფრინდა, იქიდან ბელარუსში გადავიდა, ბელარუსიდან კი – რუსეთში. ყველაფერი ეს, მან სამ დღეში მოახერხა ანუ პროცესისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდა და ქართველ ძალოვნებს უბრალოდ გამორჩათ თუ გამოეპარათ. ნარკოდილერი, რომლის ვიდეოკადრებიც ანუ უტყუარი მტკიცებულება ჰქონდათ, თვალსა და ხელს შუა... გაეპარათ.

რა ძნელი მისახვედრია, რომ რუსეთიდან მისი ექსტრადირება ვერ მოხდებოდა, მით უმეტეს, ქართველმა რეპერმა რუს კოლეგებთან საერთო მალე იპოვა და მათთან ერთად მცირე ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა. მასზე ძებნა ოფიციალურად გამოცხადდა, თუმცა სანამ საქართველოში არ ჩამოვიდოდა, მისი დაკავება წარმოუდგენელი იყო. ყველაფერი იმდენად მარტივად მოგვარდა, რომ პოლიციელები გაოცებას ვერ მალავდნენ. რეპერი საქართველოში ოკუპირებული აფხაზეთიდან შემოვიდა და თან ორი რუსი ჟურნალისტი და სამი ბლოგერი ახლდა, რომელთაც დაკავების შემთხვევაში, პირდაპირი ეთერი უნდა ჩაერთოთ და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებისთვის უნდა მოეწოდებინათ, რომ რუსეთის მოქალაქე უკანონოდ დააკავეს და ის უნდა გაეთავისუფლებინათ ანუ საქართველოს პოლიციისთვის ამის უფლება არ უნდა მიეცათ. გადმოსულების შესახებ ქართველ სამართალდამცავებს ინფორმაცია თავიდანვე ჰქონდათ და ისიც იცოდნენ, რას აპირებდა რეპერი. ამიტომ, თვალთვალი დაიწყეს და როცა ისინი ბათუმში წავიდნენ და სასტუმროში დაბინავდნენ, პოლიციელებმა ორი ჟურნალისტი მოიხელთეს და მათ კამერის ჩანაწერი ანახეს, სადაც ნათლად ჩანდა, როგორ ვაჭრობდა რეპერი ნარკოტიკებით. ჟურნალისტებმა ბლოგერებს ყველაფერი უამბეს და მეორე დილით გაღვიძებულ რეპერს რუსი მეგობრები სასტუმროში აღარ დახვდნენ. ქართველმა სამართალდამცავებმა ის მარტივად აიყვანეს და ბრალის წაყენების შემდეგ, გლდანის ციხეშიც შეასახლეს.

სასამართლო დიდხანს არ გაგრძელებულა, რეპერს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

**P.S. დღესაც, არაერთ ცნობილ ადამიანზე ამბობენ, რომ თავის დროზე, ნარკოტიკებს ყიდდა, ან ახლაც ჰყიდის, თუმცა ეს მხოლოდ ხმებია, საქმით კი... ცნობილი მომღერლის მეუღლის დაკავება და გაშვება, ცნობილი მსახიობის დაკავება და გაშვება, გვერწმუნეთ, მოსახლეობაში აღფრთოვანებას ნამდვილად არ იწვევს.**

ბათო ჯაფარიძე

**სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე შემორჩენილია კრიმინალური სამყაროს რომანტიზების კულტი. პრინციპში, რაღა ჩვენში, ყოფილი საბჭოთა კავშირის, პრაქტიკულად, ყველა რესპუბლიკაში და განსაკუთრებით კავკასიაში, კრიმინალი რომანტიზმთან ასოცირდება. 2002 წლის 23 სექტემბერს, ტელევიზიით რუსული სერიალის „ბრიგადა“ პირველი სერია გავიდა. სერგეი ბეზრუკოვი, დიმიტრი დუჟევი, პაველ მაიკოვი, ვლადიმირ ვდოვიჩენკოვი და განუმეორებელი ალექსეი პანინი საკულტო მსახიობებად იქცნენ. რაც მთავარია, ამ სერიალის გამოსვლის შემდეგ, არა მარტო რუსეთში, არამედ, მთელ ყოფილ საბჭოეთში, ახალგაზრდები ცდილობდნენ, სერიალის გმირებისთვის მიებაძათ და კრიმინალური ბიზნესი ეკეთებინათ. მერე რა, რომ სერიალის ბოლოს, ოთხი მთავარი გმირიდან სამს ყელი გამოჭრეს. ყველას ეგონა, რომ ლამაზი ცხოვრება სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო – იარაღებით, გარჩევებით, ყოველთვის ზღვარზე... სავარაუდოდ, ძალიან ცოტამ იცის, რომ სერიალს „ბრიგადა“ ნამდვილი ისტორია უდევს საფუძვლად და ეს ისტორია სულაც არ ყოფილა ისეთი რომანტიული, როგორიც სერიალშია. რეალურ ცხოვრებაშიც მთავარ გმირს საშა ერქვა, უფრო სწორად, სერგეი ტიმოფეევი. მაშ ასე, საკულტო სერიალის „ბრიგადა“ ნამდვილი ისტორია – თავისი გმირებითა და ანტიგმირებით.**

# როგორ გახდა ტრაქტორისტი რუსეთში ყველაზე გავლენიანი და სასტიკი ბანდის ლიდერი

## სერიალის – „ბრიგადა“ რეალური ისტორია

სერგეი ტიმოფეევი 1955 წლის 18 ივლისს, სოფელ კლიმში დაიბადა, მაგრამ რადგან სოფელში სკოლა არ იყო, მეზობელი სოფლის, ფლისტოვოს საშუალო სკოლა დაამთავრა. სკოლის დასრულების შემდეგ ჯარში წავიდა, იქიდან დაბრუნებული კი მიხვდა, რომ სოფელში ბევრს ვერაფერს იშოვიდა, ამიტომ მოსკოვში, ტექნიკუმში ჩააბარა და პარალელურად, მოსკოვთან ახლოს, ტრაქტორისტის დამხმარედ მუშაობდა. ეს მშობლებმა ურჩიეს, რადგან მათი აზრით, ტრაქტორისტს ფული ყოველთვის ჰქონდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ტიმოფეევი ტრაქტორისტი გახდა, მიხვდა, რომ ფული, რომელიც სჭირდებოდა, ამ პროფესიაში ნამდვილად არ იშოვებოდა. ყველაფერთან ერთად, აღმოსავლური ორთაბრძოლის წრეზეც დადიოდა, ძალიან ბევრს ვარჯიშობდა და საკმაოდ კარგ ფიზიკურ ფორმაში იყო. ამის გამო, მეგობრებმა „სილვესტრი“ შეარქვეს, ლეგენდარული ჰოლივუდელი მსახიობის, სილვესტერ სტალონესთან მსგავსების გამო და ეს სახელი სიცოცხლის ბოლომდე შერჩა... არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის.

მოსკოვის იმ ოლქში, სადაც ტომოფეევს ბინა ჰქონდა ნაქირავები, ადრე ოთხი სოფელი იყო – ორეხოვო, ბორისოვო, შიპილოვო და დიავლიკოვო. ამის მიუხედავად, ამ უბანს მხოლოდ ერთი სახელით – ორეხოვოთი მოიხსენიებდნენ. ტრაქტორისტობის პარალელურად, ტიმოფეევი ტაქსაობდა კიდეც, მაგრამ როცა ქვეყანაში „პერესტროიკა“ დაიწყო, მიხვდა, რომ მოქმედება იყო საჭირო. ერთხელ, ადგილობრივ ბაზარში გაიარა და დაინახა, როგორ ატყუებდა სამი ბიჭი გამვლელებს სათითეებით. თავის დროზე, ეს აფერა ჩვენთანაც პოპულარული იყო – სამი სათითედან ერთ-ერთში პატარა ბურთულას მალავდნენ, მერე ატრიალებდნენ და მოთამაშეს უნდა გამოეცნო, სად იყო ბურთულა დამალული. ასე მარტივად ყვლეფდნენ გამვლელებს და ტიმოფეევსაც გონება გაეხსნა – ორეხოვოს რამდენიმე ბაზარში შეიძლებოდა იგივეს გაკეთება. მან მეორე დღესვე შემოიკრიბა მეგობრები აღმოსავლური ორთაბრძოლების წრიდან, აუხსნა, რა იყო გასაკეთებელი და ერთ კვირაში, ორეხოვოში ყველა ბურთულა მხოლოდ „სილვესტრისთვის“ ტრიალებდა, ამიტომ შემოსავლის უდიდესი ნაწილი, სწორედ ტიმოფეევთან მიდიოდა. დაახლოებით ორ თვეში, იმდენი ფული იშოვა, რომ ბანდა იარაღით აღჭურვა და უკვე ღია რეკეტი დაიწყო. ისინი ავიწროვებდნენ აბსოლუტურად ყველას და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს ადამიანი ბაზარში მზესუმზირით ვაჭრობდა, თუ ოქროულით – წილი თითოეულ მათგანს უნდა გადაეხადა. ვინც უარს ამბობდა... ტყეში მიჰყავდათ და ტიმოფეევის ბრძანებით ცოცხლად მარხავდნენ. ყველაფერი ეს ძალიან მალე გახმაურდა და ამიტომ, ვაჭრები „სილვესტრის“ ბიჭების გამოჩენისთანავე, ყველაფერზე თანახმა იყვნენ.

ტიმოფეევი არა მარტო ორეხოვოში, არამედ, მთელ მოსკოვში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კრიმინალური დაჯგუფების უპირობო ლიდერი გახდა. მისი დაჯგუფება ორი ათასზე მეტ წევრს ითვლიდა და რაც მთავარია, ისინი კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულნი. მაშინდელი სამართალდამცავები ამბობდნენ, რომ ტიმოფეევს მარტივად შეეძლო მთელი ოლქის მილიციისთვის ომი გამოეცხადებინა და რაც მთავარია, ამ ომში გაემარჯვა.

1992 წელს, ორეხოვოს დაჯგუფება კონტროლის სფეროებს ზრდის და ტიმოფეევს პრეტენზია ლამის ნახევარ მოსკოვზე აქვს. ის საპატიო სტუმრად მიიწვიეს „კანონიერი ქურდის“, სერგეი ბტოცკის, მეტსახელად, „ბარონის“ დაბადების დღეზე, სადაც ერთ-ერთმა სტუმარმა მეგობრულად ურჩია, ცოტა ქამარს მოუჭირე, მადა დაიოკე, თორემ შეიძლება გავბრაზდეო. ტიმოფეევმა „თავხედს“ ხელი აუქნია და სამ ასოზე გაუშვა. „თავხედი“ ვიაჩესლავ ივანკოვი, მეტსახელად, „იაპონჩიკი“ იყო – „კანონიერი ქურდი“, რომელიც ძალიან მალე, არა მარტო მთელ რუსეთს, არამედ ლამის მთელ ევროპასა და აშშ-ს დაიმორჩილებდა და უზარმაზარ კრიმინალურ სინდიკატს შექმნიდა. „იაპონჩიკის“ გაბრაზება ბევრს არ მოეწონა, მაგრამ ტიმოფეევის გარშემო ძალიან, ძალიან დიდი ფინანსური, ადამიანური და იარაღის რესურსი იყო, ამიტომ ხმამაღლა ვერავინ ვერაფერი თქვა.

ტიმოფეევის ბანდა ყოველდღიურად იზრდებოდა და ამდენ ხალხს რჩენა უნდოდა, ამიტომ ისინი გადავიდნენ სატვირთო ავტომობილების დაყაჩაღებაზე. აჩერებდნენ ავტომობილს, მძღოლს კლავდნენ და ტყეში მარხავდნენ, მანქანა კი თავის საქონლით მიჰქონდათ და საკუთარ კონტროლირებად ბაზარში ჰყიდდნენ. მთლიანობაში, გამოძალვისა თუ დაყაჩაღების დროს, ტიმოფეევის ბანდის წევრებს, ორი ათასზე მეტი ადამიანი „შემოაკვდათ“.

ყველაფერი კი 1994 წლის 13 სექტემბერს დასრულდა. საკუთარი სასტუმროდან გამოსული ტიმოფეევი, როგორც წესი, „მერსედესის“ უკანა სავარძელზე მოთავსდა და ავტომობილი აფეთქდა. როგორც მოგვიანებით თქვეს, ეს „იაპონჩიკის“ „საჩუქარი“ იყო, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ ყველაფერი სპეცსამსახურებმა მოაწყვეს, რადგან მას სხვანაირად ვერ ერეოდნენ.

ლიდერის სიკვდილის შემდეგ, „ორეხოვოს“ ბანდის მეთაურობაზე პრეტენზია ერთბაშად რამდენიმე კრიმინალს ჰქონდა. საინტერესო ის გახლდათ, რომ ოთხეული, რომელსაც ბანდის ლიდერობაზე ჰქონდა პრეტენზია, არათუ ახლო მეგობრები იყვნენ, არამედ, ბაღშიც ერთად დადიოდნენ, სკოლაშიც და შემდეგ ბანდაშიც ერთად მივიდნენ ანუ დაახლოებით ისეთი მეგობრები იყვნენ, როგორც სერიალის „ბრიგადა“ წევრები. მეთაური იური პოლიშკოვი, მეტსახელად, „კატა“ გახდა, რომელიც 1995 წლის 22 აგვისტოს, საკუთარ სახლთან „ქილერმა“ ჩაცხრილა. მისი მკვლელობა უახლოეს მეგობარს, იური შიშენინს დაბრალდა და ის დანით აკუწა მესამე მეგობარმა, იგორ ჩერნაკოვმა (მეტსახელად, „ოროსანი“) და ბანდის მეთაური თავად გახდა. ოთხი მეგობრიდან ორი უკვე მკვდარი იყო, მესამეს, დიმიტრი შარაპოვს „ქილერი“ სახლთან ჩაუსაფრდა, მაგრამ სადარბაზოში შესვლა მოასწრო და... ბედის ირონიით, ცოტა ხნის წინ მოკლული მეგობრის, იური პოლიშკოვის სახლში დაიმალა. რაც მთავარია, მან იფიქრა, რომ მკვლელობა უახლოესმა მეგობარმა, „ოროსანმა“ დაგეგმა და ამიტომ, ის მოკლა.

ამის შემდეგ, „ორეხოვოს“ ბანდის მეთაურები კვირაში ერთხელ იცვლებოდნენ, რადგან ახლადარჩეულს უბრალოდ კლავდნენ და ასე გაგრძელდა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. საერთო ჯამში, ერთმანეთთან ომში, ბანდის 150 ლიდერი დაიღუპა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დარჩნენ მხოლოდ შემსრულებლები, ქვედა რგოლი, რომელსაც მართვა არ შეეძლო და ნარჩენებს უკვე სამართალდამცავები დაერივნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ბანდის წევრებს არ ჰქონდათ ასეთი გაგება – „ჩაბარდე მილიციას“, ისინი სამართალდამცავებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, რაც ძირითადად მათი ადგილზე ჩაცხრილვით სრულდებოდა.

„რეალურად, ბანდის იმ შემადგენლობამ, რომელიც მთელ მოსკოვს აზანზარებდა, უზარმაზარი თანხა იშოვა. რიგითმა ბანდის წევრებმაც კი ასეულ ათასობით დოლარი მიითვისეს, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამ ფულს ქალებსა და ნარკოტიკებში ხარჯავდა. მათი უდიდესი ნაწილი სასაფლაოზე წევს, სხვები ან ციხეში არიან, ან გამათხოვრებულია. რეალურად, ბანდის ათასობით წევრიდან, მხოლოდ ოთხმა (!!!) მოახერხა ის, რომ ნაშოვნი ფულით ბიზნესი დაიწყო, უძრავი ქონება შეიძინა და დღესაც გადასარევად ცხოვრობენ“, – იხსენებს ერთ-ერთი სამართალდამცავი.

შემდეგ უკვე იყო სერიალი „ბრიგადა“, რომლის სცენარზეც სამი ადამიანი მუშაობდა და პირველად მსოფლიოში, ჯერ გადაიღეს ფილმი, შემდეგ, მისი პოპულარიზაციის გამო, გამოსცეს წიგნი. „ბრიგადა“ კრიმინალებისთვის სამაგიდო წიგნი გახდა და რამდენიმე მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. კრიმინალების „რომანტიული“ ცხოვრება ბევრს ხიბლავდა, რეალურად კი, ამ ლამაზი და დავარცხნილ-დაბანილი ისტორიის უკან იდგა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კრიმინალური ბანდა, თავზეხელაღებული ლიდერით, ათასობით მოკლული თუ დაყაჩაღებული ადამიანით, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა იმასთან, რასაც დღემდე სიამოვნებით უყურებენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მარნეულის მუნიციპალიტეტში, პოლიციელებზე თავდასხმის ბრალდებით სამი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამი პირი – 2003 წელს დაბადებული ა.ბ., ამავე წელს დაბადებული გ.ო და 2002 წელს დაბადებული ე.კ. პოლიციელებზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ა.ბ.-მ, მიმდინარე წლის 12 აპრილს, მარნეული-სადახლოს საავტომობილო მონაკვეთზე, ავტომობილით გადაადგილებისას, ავარიული სიტუაცია შექმნა, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა მას ავტომობილის გაჩერებისკენ მოუწოდეს. სამართალდამცველების მოწოდებას მძღოლი არ დაემორჩილა, გზა განაგრძო მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის მიმართულებით, თუმცა ვერ უზრუნველჰყო მოძრაობის უსაფრთხოება, მოცურდა და გადაბრუნდა. ა.ბ.-მ და ავტომობილში მასთან ერთად მყოფმა პირებმა – გ.ო.-მ და ე.კ.-მ სამართალდამცველებს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, დააზიანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტომობილი. ინციდენტისას, შემთხვევის ადგილზე შეიკრიბა ადგილობრივთა ნაწილი, რომლებმაც სამართალდამცველებს ინციდენტში მონაწილე პირების დაკავებაში შეუშალეს ხელი და მათ ადგილიდან მიმალვა მოახერხეს. ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული მძღოლი და მისი ორივე მგზავრი პოლიციამ მალევე დააკავა.

პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

## სასაზღვრო პოლიციას ევროკავშირის მხარდაჭერით სპეციალური აღჭურვილობა და ავტომანქანები გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას დაკვირვების სისტემები, მაღალი გამავლობის ავტომანქანები და ავტობუსები გადაეცა.

აღჭურვილობის გადაცემა პროექტების – „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, პასუხისმგებლობისთვის და საქართველოში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის (SAFE) – ინტეგრირებული საზღვრის მართვა“ და „საზღვრისა და მიგრაციის მართვის ქმედება საქართველოსთვის (BMMAG)“ ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ხელშეწყობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭრით განხორციელდა.

აღჭურვილობის გადაცემის ღონისძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსი ნიკოლოზ შარაძე, ევროკავშირის ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი და მიგრაციის საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელი საქართველოში სანია ჩელებიჩ ლუკოვაცი დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ მესაზღვრეებს მადლობა გადაუხადა ერთგული სამსახურისთვის და აღნიშნა, რომ საზღვრის ინტეგრირებული მართვის გაძლიერება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მინისტრის მოადგილემ ასევე მადლობა გადაუხადა ევროკავშირის ელჩს პაველ ჰერჩინსკისა და მიგრაციის საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელს სანია ჩელებიჩ ლუკოვაცს მხარდაჭერისა და მრავალწლიანი მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

დაკვირვების თანამედროვე სისტემები, რომლებიც საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე განთავსდა, მნიშვნელოვნად გააძლიერებს სახმელეთო საზღვრის დაცვის მიმართულებას, გააუმჯობესებს სასაზღვრო მონაკვეთების კონტროლის შესაძლებლობებს, რაც, თავის მხრივ, დანაშაულების გამოვლენასა და აღკვეთას შეუწყობს ხელს.

ევროკავშირი აქტიურად განაგრძობს საქართველოში საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროცესის მხარდაჭერას, რაც საზღვრის მართვის სისტემების განვითარებასა და მოდერნიზებას გულისხმობს. აღნიშნული პროექტების მიზანია, საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება ინტეგრირებული საზღვრის მართვისა და მიგრაციის მიმართულებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებებისა და სამოქმედო გეგმების, განსაკუთრებით ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

## იმერეთის პოლიციამ ბაღდადში მომხდარი მკვლელობისა და დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.კ. დამამძიმებელ გარემოებაში ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ფინანსური დავის გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შედეგად, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1976 წელს დაბადებულ ს.გ.-ს, ხოლო 2002 წელს დაბადებული გ.მ. დაჭრა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.კ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# კვარაცხელიამ ბოდიში მოიხადა, თუმცა თანაგუნდელებმა არ მიიღეს

ჩემპიონთა ლიგაზე „ნაპოლის“ ზღაპარი დასრულდა. ნეაპოლელები, ისტორიაში პირველად, ლიგის მეოთხედფინალში გავიდნენ და ნახევარფინალში გასვლის საუცხოო შანსი ჰქონდათ, თუმცა „მილანის“ ბარიერი ვერ დაძლეს. სტუმრად 0:1 წაგებული შეხვედრის შემდეგ, „ნაპოლი“ საკუთარ მოედანზე მეტოქეს უკანმოუხედავად უტევდა, თუმცა გოლი საკუთარ კარში მიიღო. გადამწყვეტი მომენტი 82-ე წუთზე დადგა, როცა „მილანის“ კარში პენალტი დაინიშნა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ხვიჩა კვარაცხელია მივიდა და მისი დარტყმული მეკარემ აიღო. მატჩის მიწურულს, მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება კი მოახერხეს, მაგრამ შემდეგ ეტაპზე 1:1 საკმარისი არ იყო. აი, ხვიჩას რომ პენალტი გაეტანა, დამატებითი დრო დაინიშნებოდა, თუმცა...

მეორე დღეს, კლუბის ბაზაზე მისულ ფეხბურთელებს კვარაცხელიამ პენალტის ვერგატანის გამო მოუბოდიშა, თუმცა თანაგუნდელებმა ბოდიში არ მიიღეს და მთელი გუნდის სათქმელი კაპიტანმა ჯოვანი დი ლორენცომ თქვა:

**„ჩვენ ლიგიდან იმიტომ არ გამოვვარდით, რომ პენალტი ვერ გაიტანე. საბოდიშო არაფერია, შეხვედრას იგებს გუნდი და აგებს გუნდი. ჩვენ ყველა დავმარცხდით და არა – კონკრეტულად შენ, ამიტომ ეს ამბავი დაივიწყე, საბოდიშო არაფერია“.**

რა თქმა უნდა, კარგია, კვარაცხელიას თანაგუნდელები გვერდში რომ დაუდგნენ, მაგრამ სოციალურ ქსელში, კონკრეტულ მატჩზე დიდი ამბებია ატეხილი. ყველა თანხმდება, რომ 82-ე წუთამდე, მსაჯმა რამდენჯერმე მიიღო საკამათო გადაწყვეტილება და ყველა შემთხვევაში, „მილანის“ მხარეს იყო. ამასთან ერთად, ერთ-ერთ ეპიზოდში, არბიტრმა ასპროცენტიანი პენალტი არ დადო და რაც მთავარია, განმეორებაზე დანარჩენმა მსაჯებმაც „ვერ დაინახეს“ წესების დარღვევა, რაზეც არა მარტო გულშემატკივრები, არამედ, ფეხბურთის სპეციალისტებიც მხრებს იჩეჩავენ. არსებობს ვარაუდი, რომ „მილანისთვის“ დახმარება მსაჯებს ზვონიმირ ბობანმა სთხოვა, ვეტერანმა ფეხბურთელმა, რომელმაც კარიერის 10 წელი სწორედ მილანურ კლუბში გაატარა, ამჟამად კი უეფაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია, ოფიციალურად ამ ყველაფრის დამტკიცება წარმოუდგენელია.

# ხეცურიანმა მსოფლიო თასი მოიგო

ეტლით მოფარიკავე ირმა ხეცურიანმა საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო თასზე ბრწყინვალედ იასპარეზა და ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველი მოფარიკავე ფავორიტად იყო შერაცხული და ნახევარფინალში ეს დაამტკიცა კიდეც, როცა ჩინელ მეტოქეს 15:2 სძლია, ფინალში კი მისი მოწინააღმდეგე ტაილანდელი საისუნ იანი გახლდათ.

შეხვედრა დაძაბულად წარიმართა, ანგარიში 8:8 იყო, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ხეცურიანმა უფრო დამაჯერებლად იასპარეზა და საბოლოოდ 15:12 იმარჯვა.

# FIBA შეუვალია – რუსეთი და ბელარუსი 2025 წლისთვისაც მოკვეთეს

მოგეხსენებათ, უკრაინაში შეჭრის გამო, პრაქტიკულად, სპორტის ყველა სახეობაში, რუს და ბელარუს სპორტსმენებს ასპარეზობა ეკრძალებათ. საქმე მარტივადაა, როცა ერთეულთა თანრიგში ხდება შეზღუდვები, რადგან სპორტსმენები სხვა ქვეყნის მოქალაქეობას იღებენ, მაგრამ როცა საქმე გუნდურ თამაშს ეხება, ყველაფერი რთულდება. მთელი გუნდი სხვა ქვეყნის სახელით ვერანაირად გამოვა.

გასულ კვირას, რუსეთისა და ბელარუსის საკალათბურთო ფედერაციებმა, FIBA-ში ერთობლივი წერილი აფრინეს, ევროპის 2025 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაგვიშვით, მსოფლიო პირველობას და 2024 წლის ოლიმპიადას ხომ ვტოვებთო. მსოფლიო საკლათბურთო ფედერაციამ იმსჯელა და ვერდიქტიც მალე გამოიტანა.

**„იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში რუსეთის აგრესია კვლავ გრძელდება და მას ბოლო არ უჩანს, გადაწყვეტილებას არ შევცვლით და რუსეთის ნაკრები ბელარუსის ნაკრებთან ერთად, ვერც 2025 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს“,** – ნათქვამია FIBA-ს განცხადებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში, რუსეთსა და ბელარუსში, კალათბურთი მხოლოდ ქვეყნის შიგნით იარსებებს და არანაირი საერთაშორისო პერსპექტივა არ ექნება.

# რონალდუს არაბეთში სასამართლო ელის

არაბული „ალ ნასრის“ მთავარი ვარსკვლავი, მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი, კრიშტიანუ რონალდუ, შესაძლოა, სასამართლოს წინაშე წარსდგეს. ყოველ შემთხვევაში, მას არაბმა ადვოკატმა ნოუფ ბინ აჰმედმა უკვე უჩივლა და პორტუგალიელის დასჯას კატეგორიულად ითხოვს.

საქმე ის გახლავთ, რომ რონალდუს გუნდმა 25-ე ტურის მატჩი წააგო და მოედნიდან გასვლის დროს, კრიშტიანუს გასაბრაზებლად, მეტოქე გუნდის ფანებმა „მესი, მესი“-ს სკანდირება დაიწყეს. მოედნიდან გასვლამდე ფეხბურთელმა ხელი საზარდულზე მოიკიდა, რაც... არაბული კანონებით ისჯება და ამ ქმედების საჯაროდ გაკეთების შემთხვევაში, პიროვნებას ციხე ელის. არადა, არაბეთის სადისციპლინო კომიტეტმა რონალდუ უკვე გაამართლა, რადგან კლუბმა წარადგინა საბუთი, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელს საზარდულის კუნთის ტრავმა აქვს და სწორედ ის ასტკივდა მოედნიდან გასვლის დროს, რისიც ადვოკატს არ სჯერა.

**„კანონს ყველამ პატივი უნდა ვცეთ და არ აქვს მნიშვნელობა, ეს რონალდუა თუ სხვა ვინმე. კანონზე მაღლა არავინ უნდა დადგეს“,** – აცხადებს ნოუფ ბინ აჰმედი და დიდი იმედი აქვს, რომ მის აზრს არაბული სასამართლოც გაიზიარებს.

# ექვსი მედალი და გუნდური მეორე ადგილი ევროპაზე

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა, ზაგრებში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე, საერთო ჯამში, ექვსი მედალი მოიპოვა და გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენი გუნდი მხოლოდ აზერბაიჯანს ჩამორჩა. ვაღიაროთ, მეზობლებმა საოცრად იასპარეზეს და გუნდურში პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვეს.

რაც შეეხება ქართველთა მონაგარს: 97კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გივი მაჭარაშვილი გახდა. მან მთელი ტურნირი დამაჯერებლად განვლო და ფინალშიც საოცარი შეხვედრა მოიგო. სამწუხაროდ, ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა ჩვენი ლეგენდარული ფალავანი გენო პეტრიაშვილი (125კგ.). მან ტრადიციულ მეტოქესთან, თურქ ტაჰა აკგულთან 4:9 წააგო. არადა, ველოდით, რომ გენო შარშან, ევროპისავე ჩემპიონატის ფინალში განცდილი მარცხისთვის რევანშს აიღებდა, თუმცა ამ ჯერზე არ გამოუვიდა.

შოთა ფარტენაძემ (61კგ.), ედემ ბოლქვაძემ (65კგ.), ავთანდილ კენჭაძემ (74კგ.) და მირიან მაისურაძემ (92კგ.) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

# მანჩესტერულ კლუბებს ლოგოს ცვილიებისკენ მოუწოდებენ

ორი მანჩესტერული კლუბი – „სიტი“ და „იუნაიტედი“ სერიოზულ შარში არიან. ინგლისურმა პრესამ ხმაური ატეხა, ორივე კლუბის ლოგოზე ხომალდია ასახული, რაც მონობას გვახსენებს და ამიტომ, დისკრიმინაციულიაო. არადა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1902 წელს დაარსდა, „მანჩესტერ სიტი“ – 1880 წელს და ლოგოები მას შემდეგ არსებობს, თუმცა დისკრიმინაციასთან მებრძოლი ორგანიზაციები განმარტავენ, რომ სწორედ იმ წლებში, ამ ქალაქის ხომალდებზე უამრავი მონა ჰყავდათ, ზოგადად, სწორედ მონებს უკავშირდება მანჩესტერის, როგორც ქალაქის აღმასვლა და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო ცენტრად ქცევა. მეტიც, იმ დროს მანჩესტერს Cottonopolis-ს, ანუ ბამბის ქალაქს ეძახდნენ და თითქმის მთელ ინგლისში, ბამბა სწორედ იქიდან გადიოდა.

მომხდართან დაკავშირებით, არცერთ კლუბს კომენტარი არ გაუკეთებია. გულშემატკივრები კი ამბობენ, რომ ლოგოების შეცვლას აუცილებლად გააპროტესტებენ.

# ზიდანი ბრუნდება

ლეგენდარული ფეხბურთელი, ზინედინ ზიდანი ორი წელია უმუშევარია და ეს იმის მიუხედავად, რომ ფრანგ სპეციალისტს არაერთი კლუბი თუ ნაკრები ეპატიჟებოდა. სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში, ზიზუს მხოლოდ მადრიდის „რეალი“ ჰყავს გაწვრთნილი და ამ კლუბთან ერთად მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. ახლა კი, მას ძალების მოსინჯვა იტალიაში სურს და თუ აპენინებზე დაიწყებს მუშაობას, ერთადერთი გუნდი, რომელსაც ჩაიბარებს, ტურინის „იუვენტუსი“ იქნება.

„ბებერი სინიორა“ წელს ჩემპიონობისთვის ვერ იბრძვის და იმის მიუხედავად, რომ სამი თვის წინ ჩამორთმეული 15 ქულა დაუბრუნეს, მაქსიმუმი, რასაც ამ სეზონში გუნდი გამოადნობს, ჩემპიონთა ლიგის საგზური იქნება. ზიდანი „იუვენტუსს“ ძალიან კარგად იცნობს, რადგან 1996-2001 წლებში, სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავდა, შემდეგ კი „რეალში“ გადავიდა და როგორც ფეხბურთელმა, კარიერის საუკეთესო წლები ესპანურ გრანდში გაატარა.

# „ბაიერნი“ კანს ემშვიდობება

მიუნხენის „ბაიერნის“ ლეგენდარული მეკარე ოლივერ კანი, კარიერის დასრულების შემდეგ, კლუბის მენეჯმენტში მუშაობს და გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებს, თუმცა უდიდესი შანსია, ძველი დამსახურებების მიუხედავად, კანი სახლში გაუშვან. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო პერიოდში ბავარიული გრანდი ვერ ბრწყინავს. გარდა იმისა, რომ გუნდი ქვეყნის თასიდან გავარდა, ჩემპიონთა ლიგასაც ნაადრევად დაემშვიდობა და „მანჩესტერ სიტისთან“ მეოთხედფინალური დაპირისპირება ულაპარაკოდ დათმო. ამას გარდა, „ბაიერნი“ ვერც ბუნდესლიგაში ვარგობს, ბოლო ოთხი მატჩიდან, მხოლოდ ორი მოიგო და მართალია, ჯერჯერობით, პირველ ადგილზეა, მაგრამ მდევარ „დორტმუნდს“ უკვე მხოლოდ ორი ქულით უსწრებს. ყველაფერში დამნაშავედ კი... ოლივერ კანი მიაჩნიათ, რადგან მან სწორად ვერ დაგეგმა და განახორციელა გუნდის საკადრო პოლიტიკა, ვერ მიიყვანა ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ბავარიელებს წარმატებას მოუტანდნენ.

**„ოლის გუნდთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს, მაგრამ „ბაიერნის“ მფლობელები, ალბათ, სეზონის დასრულებასაც არ დაელოდებიან და მას თანამდებობიდან დაითხოვენ“,** – წერს გერმანული მედია.

# „შენ არ იცი, სად მოხვდი! ეს ჯოჯოხეთზე უარესია“

ნიკა თევზაძე, ისტორიის დოქტორი

**მარინა ცვეტაევა (1892-1941) გამოჩენილი რუსი პოეტი, მწერალი და მთარგმნელია. ცვეტაევამ რუსულად ვაჟა-ფშაველას რიგი ნაწარნოებიც თარგმნა. ამ თარგმანების შესახებ წერენ როგორც რუსი, ისე ქართველი მეცნიერები (რომან გული, ლაურა გრიგალაშვილი და სხვა), თუმცა ფართო საზოგადოებამ ეს შესაძლოა, არ იცოდეს.**

## ემიგრაცია

მარინა ცვეტაევა ხელოვანთა ოჯახში აღიზარდა. მამამისი ცნობილი ფილოლოგი და მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. დედა შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე და თავად რუბინშტეინი დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ პიანისტის კარიერას ოჯახი ამჯობინა.

მარინამ ლექსების წერა ექვსი წლის ასაკში დაიწყო. წერდა როგორც რუსულად, ასევე, – ფრანგულად და გერმანულადაც. გოგონას უცხო ენებისადმი მიდრეკილება აღმოაჩნდა. ილია ერენბურგის ცნობით, თუკი მარინას რომელიმე პოეტის ლექსი მოეწონებოდა, მის ორიგინალში წაკითხვას ცდილობდა.

ბოგომილ რაინოვი წერს, ცვეტაევა ხრისტო ბოტევის პოეზიამ აღაფრთოვანა და ამიტომ, ბულგარული შეისწავლაო. ესპანური ლოპე დე ვეგას გამო ისწავლა.

– ლექსი ან პოემა თარგმანში მუდამ აგებს. ისინი ორიგინალში უნდა წაიკითხო, – ამბობდა ცვეტაევა.

ოქტომბრის გადატრიალებამ უამრავი ადამიანის ბედზე იმოქმედა. გამონაკლისი არც ცვეტაევა იყო. მარინას მეუღლე, სერგეი ეფრონი დენიკინის არმიაში იბრძოდა. თავად ცვეტაევა 1922 წელს, ემიგრაციაში გაემგზავრა ჯერ რიგაში, იქიდან – ბერლინში, შემდეგ – პრაღაში.

– სამყარო, რომლის სისხლხორცეული ნაწილი ცვეტაევა იყო, დაიმსხვრა. ახალი წითელი რუსეთი კი მისთვის უცხო და მიუღებელი იყო, – წერს რომან გული.

ქმრის შესახებ მან ერთხანს არაფერი იცოდა. შექმნილი მდგომარეობის გამო წერილების მიწერ-მოწერა შეუძლებელი იყო. მალე ცვეტაევა ქმრის მეგობარ რადკევიჩს (ზოგიერთ წყაროში, რადზევიჩი) შეხვდა. ისინი დიდხანს საუბრობდნენ, რამაც ბევრს ჭორაობის საფუძველი მისცა. შემდგომში, როცა სერგეი ეფრონი პრაღაში ჩავიდა, ამ ჭორებმა მასსა და ცვეტაევას ურთიერთობაში სერიოზული ბზარი გააჩინა.

– სინამდვილეში, ცვეტაევასა და რადკევიჩს შორის ინტიმური კავშირი არ ყოფილა. უბრალოდ, რადკევიჩი მას იმ სამყაროს აგონებდა, რომელიც დაკარგა. ისინი საუბრობდნენ პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე, – წერს მარკ ალდანოვი.

## დაინტერესება ვაჟა-ფშაველათი

როდის დაინტერესდა ცვეტაევა ვაჟას პოეზიით? – ამის თაობაზე ზუსტი ცნობები არ არსებობს. უკრაინელი მწერალი და დისიდენტი, მიხაილო ოსადჩი ცვეტაევას ვაჟათი დაინტერესებას ფრიად რომანტიკული მიზეზებით ხსნის. ის წერს, რომ მარინას ინტიმური კავშირი ჰქონდა რადკევიჩის მეგობარ ვინმე ალექსანდრე ერისთავთან. ვაჟა-ფშაველას პოეზიაც მან გააცნოო. დიდი ქართელი პოეტის შემოქმედებამ ცვეტაევაზე იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ქართულის სწავლა დაიწყო, რათა ვაჟა-ფშაველა ეთარგმნა.

რომან გული ამას არ ეთანხმება.

– ცვეტაევა სრულიად მარტო აღმოჩნდა. ქმარი არ ჩანდა, სამშობლო დაკარგა. ამ დროს ხელთ შემთხვევით ვაჟა-ფშაველას რუსული თარგმანი ჩაუვარდა. ქართველი პოეტის ლექსები იმდენად მოეწონა, რომ ქართული ენის შესწავლა დაიწყო, რათა სინამდვილეს გათიშვოდა, – წერს გული.

ლაურა გრიგალაშვილი წერს, რომ როცა 1940 წელს მარინამ ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“ თარგმნა, ბწკარედი ალექსანდრე აბაშელმა გაუკეთა. მაია შრაიბერიც ამბობს, რომ ცვეტაევამ ქართული არ იცოდა, ბწკარედი ქართველმა პოეტებმა გაუკეთესო.

ანდრეი ვოზნესენსკის ცნობით კი ვაჟას შემოქმედებას ცვეტაევა ჯერ კიდეც 14 წლის ასაკში გაეცნო. იმდენად მოეწონა, რომ ქართულის შესწავლა დაიწყო, რათა ვაჟას პოეზია ეთარგმნა. მწერლები, რომლებიც ცვეტაევას პირადად იცნობდნენ, ადასტურებენ, რომ მას ვაჟა-ფშაველა წაკითხული ჰქონდა.

– ის ძალიან დიდი პოეტია, თავისუფლად შეიძლება გოეთეს ან შილერის გვერდით დააყენო,– ამბობდა ცვეტაევა.

## მარინა ცვეტაევას ტრაგიკული თავგადასავალი

ფაქტია ერთი: ცვეტაევა ვაჟას პოეზიამ მოაჯადოვა და მისი თარგმნა გადაწყვიტა.

ემიგრაცია მძიმე ხვედრია.

სერგეი ეფრონი თეთრებთან ერთად რუსეთიდან გავიდა. პრაღაში ის და მარინა ერთმანეთს შეხვდენ. ხანგრძლივმა განშორებამ ცოლ-ქმარს შორის ბზარი წარმოქმნა. თავისი როლი ითამაშა იმანაც, რომ ეფრონს ცოლზე ფრიად პიკანტიური ჭორები დახვდა. როგორც ჩანს, მას ამის მართლაც სჯეროდა, რადგანაც მეგობრებთან საუბარში ამბობდა:

– მარინა ვნებებს აყოლილი ქალია!

მათი ცოლ-ქმრობაც ნელ-ნელა ფორმალობად გადაიქცა. ეფრონს თავისი ცხოვრება ჰქონდა, მარინას თავისი. შემდგომში ცვეტაევას მეუღლე პრო-საბჭოთა პოზიციებზე დადგა, 1931 წლიდან კი სუკ-ის აგენტი გახდა.

– ეფრონის სუკ-თან კავშირის შესახებ ყველამ იცოდა. მარინას არაფრის გაგონება, არაფრის დანახვა არ სურდა. ის მთლიანად თავის სამყაროში ჩაეფლო, – წერს რომან გული.

ამას მატერიალური სიდუხჭირეც დაერთო. ცვეტაევა შვებას შემოქმედებაში ჰპოვებს. წერს ლექსებს, პროზას, ბევრს თარგმნის. კვლავ უბრუნდება ვაჟა-ფშაველას, მის შემოქმედებას დეტალურად ეცნობა. განსაკუთრებით „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“ მოსწონს. ეცნობა სხვა ქართველ პოეტებსაც. მისი შეხედულებები ქართულ პოეზიაზე შესაძლოა, ჩვენთვის მიუღებელიც იყოს. ასე, მაგალითად, ილია ერენბურგი 1940– წელს მიკოლა ბაჟანთან საუბარში ამბობდა, რომ ცვეტაევა ქართველმა პოეტებმა მოაჯადოვეს; მისი აზრით, ილია ჭავჭავაძე, ან აკაკი წერეთლი ჩვეულებრივი კარგი პოეტები არიან, აი, რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა კი, მსოფლიო მასშტაბის გიგანტებიაო.

– მარინას აზრით, ისინი თავისუფლად შეიძლება გოეთეს, ან შექსპირის გვერდით დააყენო, – განუცხადა ბაჟანს ერენბურგმა.

ვაჟას თარგმნას ცვეტაევა ჯერ კიდევ ემიგრაციაში ყოფნისას აპირებდა. მარინა პროფესიონალი პოეტია და ხვდება, რომ ვაჟას თარგმნა ძალიან ძნელია.

– ჯერ მზად არ ვარ, რომ ვაჟა-ფშაველა ვთარგმნო! ის ძალიან დიდი პოეტია და მის თარგმნასაც სათანადო მომზადება სჭირდება!

## სსრკ-ში დაბრუნება

პოეტისათვის ემიგრაცია განსაკუთრებით აუტანელია. პარიზში მცხოვრები ცვეტაევა სამშობლოსადმი ნოსტალგიას განიცდიდა. ამას ოჯახური ტრაგედიაც დაერთო. მარინას მეუღლის, საბჭოთა აგენტის, სერგეი ეფრონის გარშემო წრე სულ უფრო ვიწროვდებოდა – მისით საფრანგეთის კონტრდაზვერვა დაინტერესდა. ეფრონი იძულებული გახდა, საფრანგეთიდან წასულიყო. 1939 წელს, ცვეტაევა სსრკ-ში ჩამოვიდა. სსრკ-ში ჩავიდნენ ცვეტაევას ქალიშვილი არიადნა და ვაჟი გიორგიც.

ილია ერენბურგი წერს, რომ მოსკოვში ჩასვლისთანავე ცვეტაევა მუხლებზე დაემხო და მიწას ეამბორა. მიუხედავად ამისა, სამშობლო მას ცივად შეხვდა. ცვეტაევა და მისი ოჯახი სუკ-ის აგარაკზე დააბინავეს. მალე მისი ქმარი სერგეი ეფრონი დააპატიმრეს. ქალიშვილი არიადნაც გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

ცვეტაევა სასოწარკვეთამ შეიპყრო. თვითმკვლელობაზე ფიქრი სულ უფრო ეძალება. რობერტ როჟდესტვენსკი წერს, რომ შვება ვაჟა-ფშაველას თარგმნაში ჰპოვა. მიხაილო ოსადჩი უფრო პროზაულ მიზეზს ასახელებს. აქაოდა, ახლობლებმა მარინას ურჩიეს, ბერიასათვის წერილი მიეწერა და გამოსარჩლება ეთხოვა, თუკი ვაჟა-ფშაველას, ან რუსთაველს თარგმნი, ეს კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებსო.

ასეა თუ ისე, ფატქია, რომ ვაჟას თარგმნას ცვეტაევა მოსკოვში დაბრუნებისას დაუბრუნდა. მარინამ თარგმნა პოემები: „ეთერი“, „გოგოთურ და აფშინა“, „დაჭრილი ვეფხვი“, აგრეთვე, ვაჟას ლექსები. ცნობილმა პოეტმა ზაბოლოცკიმ ისინი სიმონ ჩიქონს გაუგზავნა.

– ვაჟა-ფშაველა მეც ვთარგმნე, მაგრამ ცვეტაევასთან ჩემი თარგმანები ნამდვილად ვერ მოვა, – წერს ზაბოლოცკი.

## აღსასრული

ბერიასადმი მიწერილმა წერილმა შედეგი არ გამოიღო. ცვეტაევას ქმარი, სერგეი ეფრონი 1941 წელს დახვრიტეს, ქალიშვილს კი, გულაგში უკრეს თავი.

– ბანაკში გაგზავნამდე არიადნას სუკ-ის აგენტობა შესთავაზეს. თუკი დასთანხმდებოდა, გათავისუფლებას შეჰპირდნენ. ეს ასეც მოხდებოდა, რადგანაც სუკ-ს არიადნა ეფრონი, მართლაც, სჭირდებოდა, – წერს ლევ კოპელევი.

არიადნამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. შედეგად საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა. აქაც სუკი მის გადაბირებას ცდილობდა, მაგრამ არიადნა მტკიცედ იდგა. მაშინ მას ლიუბა დიურენტალი მიუგზავნეს.

– ეს ქალბატონი სუკ-ზე ჯერ კიდევ 1922 წლიდან მუშაობდა, – წერს ოლეგ გორდიევსკი.

მადამ დიურენტალმა და მისმა ქმარმა ოპერაცია „ტრესტში“ ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. მათი წვლილი უდიდესია იმაში, რომ ჩეკისტებმა ბორის სავინკოვი სსრკ-ში შემოიტყუეს და დააპატიმრეს. 1937 წელს, ლიუბა და მისი მეუღლე დააპატიმრეს. მეუღლე დახვრიტეს, ლიუბა კი საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა, თუმცა როგორც სუკ-ის აგენტი, შეღავათებით სარგებლობდა და ბიბლიოთეკაში მუშაობდა. ლიუბა შეეცადა, არიადნა ეფრონიც აგენტობაზე დაეყოლოებინა.

– შენ არ იცი, სად მოხვდი! ეს ჯოჯოხეთზე უარესი ადგილია! თუ კეთილგონიერებას არ გამოიჩენ, დაიღუპები!

– მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე სუკ-ის აგენტი გავხდე! – უპასუხა არიადნამ.

ეფრონისა და ცვეტაევას ქალიშვილს ციმბირში, ჯოჯოხეთურ ყინვებში ხე-ტყე უნდა მოეჭრა. არიადნამ ყოველივე უდრტვინველად აიტანა. 1955 წელს, ის რეაბილიტირებულ იქნა და გულაგიდან სუფთა სინდისით გამოვიდა.

თავად ცვეტაევა თითქოს რეპრესირებული არ ყოფილა, თუმცა მისი ხვედრი მძიმე იყო. პოეტს მისთვის უცხო ქვეყანაში, აუტანელ გარემოში უნდა ეცხოვრა, იქ, სადაც გამეფებული იყო პიროვნების კულტი, მაბეზღარობა, აგრესიულობა, კონფორმიზმი. ცვეტაევასათვის ეს აუტანელი იყო. ისიც შვებას თარგმანებში ეძებდა. თარგმნიდა ვაჟას, გარსია ლორკას, სხვა პოეტებსა თუ მწერლებს.

გერმანია-სსრკ-ს შორის ომის დაწყებისას ცვეტაევა ვაჟსა და სხვა ლიტერატორებთან ერთად, ელაბუგაში იქნა ევაკუირებული. როგორც ჩანს, უდიდეს სიდუხჭირეს განიცდიდა, რადგანაც ითხოვდა ლიტფონდის სასადილოში ჭურჭლის მრეცხავად მიეღოთ.

სიდუხჭირემ და სასოწარკვეთამ საბედისწერო შედეგი გამოიღო: 1941 წლის 31 აგვისტოს, ცვეტაევამ თავი ჩამოიხრჩო. დანამდვლებით დღესაც უცნობია, თუ სად დაასაფლავეს მისი ცხედარი.

ასე დაასრულა თავისი ცხოვრებისეული გზა ამ ნიჭიერმა პოეტმა და უაღრესად ტრაგიკულმა პიროვნებამ, ქალმა, რომელმაც რუსულად ვაჟა-ფშაველა თარგმნა.

## ძაღლი ალკოჰოლიზმისგან განკურნეს

2 წლის ლაბრადორი, სახელად კოკო, პირველი ძაღლი გახდა, რომელიც ბრიტანელმა ზოოდამცველებმა ალკოჰოლიზმისგან განკურნეს. კოკო და კიდევ ერთი ძაღლი Woodside Animal Rescue Trust-ში, პატრონის სიკვდილის შემდეგ მოხვდნენ. სასმელზე დამოკიდებულება ოთხფეხა მეგობრებმა ალკოჰოლიკი პატრონისგან „აიკიდეს“ – მთვრალ მამაკაცს რომ ჩაეძინებოდა, დარჩენილ სპირტიან სასმელს მისი ძაღლები მიირთმევდნენ. თავშესაფარში მყოფ ცხოველებს შეტევა დაემართათ და ერთი მოკვდა, კოკოს კი გაუმართლა და გადარჩა. ერთი თვის განმავლობაში, მას სედატიურ პრეპარატებს აძლევდნენ, შეტევების თავიდან ასაცილებლად. კოკო ახლა კარგადაა და თავშესაფარში იმედოვნებენ, რომ მას კეთილი ადამიანები წაიყვანენ.

## ყალბი ნახატების გამოფენას გამართავენ

ამ ზაფხულს, ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში, კურტოს გალერეაში გაიხსნება გამოფენა, სადაც ხელოვნების ცნობილი ნიმუშების ის ყალბი ნამუშევრები იქნება წარდგენილი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში, ორიგინალებად მიიჩნეოდა. გამოფენის დამთვალიერებლებს მოუთხრობენ ამ სურათებისა და ქანდაკებების ისტორიებსაც და იმასაც, როგორ გამოააშკარავეს ისინი. გამოფენას Art and Artifice: Fakes from the Collection ჰქვია. მასზე პირველად იქნება წარდგენილი 30-ზე მეტი ნამუშევარი, რომელთაც სანდრო ბოტიჩელის, ოგიუსტ როდენის, დირკ ვან ბაბიურენისა და სხვა ხელოვანთა ორიგინალებად ასაღებდნენ. ექსპონატებს შორის იქნება, მაგალითად, ბოტიჩელის მადონების სტილში შესრულებული ტილო, რომელიც უმბერტო ჯუნტიმ შექმნა. მისი თაღლითობა მაშინ გამოაშკარავდა, როცა შენიშნეს, რომ „მადონა“ მსახიობ გრეტა გარბოს ჰგავდა – ფალსიფიკატორი მისი დიდი თაყვანისმცემელი იყო.

## ერთწლიანი შვებულება მოიგო

ჩინეთში, ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომელმა 365-დღიანი ანაზღაურებადი შვებულება მოიგო. ადგილობრივი მედიის ცნობით, ეს პრიზი კომპანიის მიერ მოწყობილ ყოველწლიურ ვახშამზე გათამაშდა. გამარჯვებული გახდა მამაკაცი, რომელსაც ფირმაში ერთ-ერთი ხელმძღვანელის თანამდებობა უკავია. მისთვის ეს პრიზი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ საღამოს წამყვანს რამდენჯერმე ჩაეკითხა, შეცდომა ხომ არ იყო. კომპანიის ხელმძღვანელობაში აცხადებენ, რომ იღბლიან თანამშრომელთან გაარკვევენ, ისარგებლებს თუ არა ის ამ შვებულებით, ან დასვენების ნაცვლად, ხომ არ ურჩევნია, თანხა აიღოს. ამ ფაქტის სოციალურ მედიაში გავრცელების შემდეგ, მომხმარებლები დაინტერესდნენ, ხომ არ არის ამ ფირმაში ვაკანსიები.

## სუნამო საკუთარი ოფლით

29 წლის ბრაზილიელმა მოდელმა და ინფლუენსერმა სან-პაულუდან უჩვეულო ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა. ვანესა მოურას თქმით, შემჩნეული აქვს, რომ მამაკაცებს მისი სხეულის ბუნებრივი სურნელი მოსწონთ. ყოფილი და ამჟამინდელი ბოიფრენდები აღნიშნავენ, რომ მისი ოფლის სუნი „სექსუალური და აღმგზნებია“. სწორედ ამიტომ, ვანესამ გადაწყვიტა, ის აფროდიზიაკის რანგში გამოიყენოს. მისი სუნამოს თითოეულ ფლაკონში რვა მილილიტრო ვანესას ოფლია. გარდა ამისა, პარფიუმი მანდარინის, ბერგამოტისა და ვარდისფერი წიწაკის ნოტებსაც შეიცავს. მოურას თაყვანისმცემლებმა უკვე შეიძინეს ახალი სუნამო და აღნიშნავენ, რომ ის მართლაც იზიდავს საწონააღმდეგო სქესს.

## მანქანაზე უარის თქმაში ფულს გადაუხდიან

საფრანგეთის ქალაქ ლილის მერია ფულს გადაუხდის იმ მოქალაქეებს, რომლებიც პიკის საათებში, საკუთარი ავტომანქანით მგზავრობაზე უარს იტყვიან. პირად ტრანსპორტზე უარით, მათ შეუძლიათ, თვეში 80 ევრომდე იშოვონ. ფრანგი ჩინოვნიკები ასე ცდილობენ, ქალაქი საცობებისგან იხსნან. საპილოტე ექსპერიმენტში 5 000 მძღოლი მიიღებს მონაწილეობას. დილის 07.00 საათიდან 09.00-მდე და 16:30-დან 18:30-მდე, მათ ავტომანქანებს GPS-ტრეკერებით დააკვირდებიან. მანქანით ერთ მგზავრობაზე უარის თქმით, მძღოლებს 2 ევრო დაერიცხებათ, მთელი დღით, პიკის საათებში – 4 ევრო, ერთი თვის განმავლობაში კი თანხა 80 ევრომდე გაიზრდება. მერიაში ამბობენ, რომ თუ მძღოლების 60% უარს განაცხადებს, პიკის საათებში მანქანით გადაადგილებაზე, ქალაქში საცობები მნიშვნელოვნად შემცირდება.

## ყველაზე დიდი სააღდგომო კვერცხი დადგეს

ბრაზილიის ქალაქ პომეროდიში, სანტა-კატარინას შტატში, მსოფლიოში ყველაზე დიდი სააღდგომიო კვერცხი დადგეს. ადგილობრივებმა ის უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულისთვის იმ იმედით მორთეს, რომ ეს დროებითი ღირსშესანიშნაობა ტურისტებს მიიზიდავს ყოველწლიურ ფესტივალზე „ოსტერფესტზე“, რომელიც ლათინურ ამერიკაში ყველაზე დიდი სააღდგომო დღესასწაულია. კვერცხის სიმაღლე 16.72 მეტრია, მისი დიამეტრი – 10.88 მეტრი. კვერცხის დეკორაციისთვის ადგილობრივი, ხალხური შემოქმედება გამოიყენეს.

## გაზიანი სასმელი მეხსიერებას აქვეითებს

ბრაზილიელი მკვლევარები ორი თვის განმავლობაში აძლევდნენ მღრღნელებს გაზიან სასმელს და გაარკვიეს, რომ მისი რეგულარულად მიღება პირდაპირ უკავშირდება ტვინის ჯანმრთელობის გაუარესებას და ქცევით პრობლემებს. ექსპერიმენტისთვის, სწავლულებმა ვირთხები სამ ასაკობრივ ჯგუფად დაყვეს, თითოეული კი – ორ გუნდად. ერთში ცხოველები ყოველდღიურად წყალს სვამდნენ, მეორეში – გაზიან სასმელს. 57 დღის შემდეგ, ისინი ლაბირინთში მოათავსეს. პირველი გუნდის წარმომადგენლებმა ის უპრობლემოდ გაიარეს, მეორეს წევრებს საკმაოდ გაუჭირდათ, რადგან მათ მეხსიერება დაუქვეითდათ. ამის შემდეგ, მღრღნელები დააძინეს და გაკვეთეს. უმრავლესობას, რომლებიც გაზიან სასმელს სვამდნენ, ტვინში სხვადასხვა სახის დაზიანება აღმოაჩნდათ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს. ის უბნები დაზიანდნენ, რომელიც ყურადღებაზე, მეხსიერებასა და სწავლაზე იყვნენ პასუხისმგებელნი.

## თმის ზრდის აღმდგენი მოლეკულა აღმოაჩინეს

სწავლულებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, სასიგნალო მოლეკულას მიაგნეს, რომელიც თმის ზრდაზეა პასუხისმგებელი და ხელს უწყობს თმის საფარის აღდგენას ცვენის ან ალოპეციის დროს. მკვლევარების მიზანს იმ ზუსტი მექანიზმის გამოვლენა წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც, დერმის დვრილების უჯრედები ხელს უწყობენ ახალი ფოლიკულის ზრდას. აღმოჩნდა, რომ სასიგნალო მოლეკულა SCUBE 3, რომელსაც დვრილის უჯრედები გამოიმუშავებს, იმპულსია თმის ახალი უჯრედების გამოყოფისთვის. მკვლევარების აზრით, ამ მოლეკულის სტიმულაციით, შესაძლებელი იქნება თმის ჭარბი ზრდის ფორმირება და მკურნალობის ახალი სქემების შემუშავება, ამ სფეროში არსებული პრობლემების მქონე პაციენტებისთვის.

## ხელოვნური ინტელექტი ახალ ამბებს წაიყვანს

არაბული სახელმწიფო ქუვეითი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა გახდა, სადაც სატელევიზიო არხმა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, ვირტუალური ტელეწამყვანი შექმნა. ტელეარხმა Kuwair News-მა მოკლე ვიდეორგოლი გაავრცელა, რომელშიც ნაჩვენებია ფედჰა – ახალი ამბების ვირტუალური წამყვანი. ის ქერა, გრძელთმიანი ქალია, რომელსაც შავი პიჯაკი და თეთრი მაისური აცვია. ტელეწამყვანი ახალ ამბებს არაბულ ენაზე კითხულობს. ვიდეორგოლში ფედჰა საკუთარ თავს წარადგენს, როგორც „ქუვეითში, ახალი ამბების პირველი ვირტუალური წამყვანი“ და ამბობს, რომ მისი მიზანი ტელემაყურებლისთვის ობიექტური და სანდო ინფორმაციის მიწოდებაა.

## ბოცვერი პოლიციაში დაასაქმეს

კალიფორნიის შტატში მდებარე ქალაქ იუბა-სიტიში, პოლიციის დეპარტამენტმა სამსახურში ბოცვერი აიყვანა. ეს ამბავი სოციალურ ქსელში თავად სამართალდამცავებმა გაავრცელეს. როგორც გაირკვა, გასული წლის ოქტომბერში, ერთ-ერთმა პოლიციელმა ქუჩაში შინაური ბოცვერი იპოვა და ის ცხოველთა კონტროლის სამსახურს გადასცა. თუმცა, პატრონმა ცხოველს წასაყვანად არ მიაკითხა და ის ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. სამართალდამცავებმა კურდღელს პერსი დაარქვეს და „ჯანმრთელობის ოფიცრის“ თანამდებობა უბოძეს. ბოცვერის მოვალეობებში კოლეგების სტრესისგან გათავისუფლება შედის. როგორც პოლიციელები აღნიშნავენ, ახალი „თანამშრომელი“ დაკისრებულ მოვალეობას თავს მშვენივრად ართმევს.

## ხორცის ანალოგი მატლებისგან

ქიმიკოსებმა სამხრეთ კორეადან, ხორცის ანალოგი შექმნეს შაქრისა და ცილებისგან, რომელიც ფქვილის მატლებისგან ამოიღეს. ამ მწერებით კვებავენ პატარა ცხოველებს. ხორცის ახალი ანალოგი სუნითა და გემოთი, პრაქტიკულად, არ განსხვავდება ნატურალური პროდუქტისგან – შაქრით დამუშავებულმა და მოხალულმა მატლებმა გააძლიერეს ხორცის არომატიც.

„ხორცზე ფასების ზრდამ და გლობალურმა დათბობამ იძულებული გაგვხადა, საკვებში მწერების გამოყენებაზე სხაგვარად შეგვეხედა. მათი სხეული ყველა აუცილებელ ელემენტს შეიცავს: ცხიმოვან მჟავებს, ვიტამინებს, მინერალებსა და ცილებს“, – აცხადებენ კორეელი სწავლულები. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მათი ტექნოლოგია ხორცისა და მისი სოუსების წარმოებას უფრო ეკოლოგიურსა და იაფს გახდის.

## ყველაზე ძვირადღირებული ნომერი გაყიდეს

ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული საავტომობილო ნომერი დუბაიში, 15 მილიონ დოლარად გაიყიდა. საემიროებში გამართულ აუქციონზე ლამაზი ნიშანი მხოლოდ ერთი ციფრით – 7, მილიონერების შეჯიბრის მიზეზად იქცა. პრესაში ამტკიცებენ, რომ ნომრის შეძენის მსურველთა შორის, Telegram-ის დამფუძნებელი პაველ დუროვიც იყო. საბოლოოდ, საავტომობილო ნიშანი ადგილობრივ ბიზნესმენს დარჩა. ღირებულების მიხედვით მეორე ნომერი, რიცხვით – 22, აუქციონზე უფრო მოკრძალებულ ფასად – 2.5 მილიონ დოლარად გაიყიდა. ითვლება, რომ რაც ნაკლები ციფრი იქნება სანომრე ნიშანზე, მით უფრო ძვირად ფასობს ის. აღსანიშნავია, რომ ასეთი აუქციონები დუბაიში უკვე ადგილობრივ ტრადიციად იქცა, ის ყოველწლიურად, რამადანის თვეში იმართება. ვაჭრობიდან მიღებულ მთლიან თანხას ორგანიზატორები მსოფლიოში შომშილთან საბრძოლველად ხარჯავენ. ამ ფულით გაჭირვებულებისთვის პროდუქტებსა და მედიკამენტებს ყიდულობენ.

# ციხესიმაგრეს ბაქტერიით გადაარჩენენ

ესპანეთში, ქალაქ გრანადაში მდებარე მავრიული ციხესმაგრე Aalhambra Teju სან-პედროს ციცაბო კლდეზე მდებარეობს და მას მეწყერი ემუქრება. ამის გამო, სწავლულებმა გრუნტის გამაგრება ბაქტერიის მეშვეობით გადაწყვიტეს. მსგავს მეთოდებს აქტიურად იყენებენ საფრანგეთსა და პორტუგალიაში, ისტორიული შენობების რემონტის დროს. 1564 წელს, კლდიდან ალჰამბრის კედლამდე 60 მეტრი იყო, ამჟამად კი ეს მანძილი მხოლოდ 23,9 მეტრია. ფერდობის სიმაღლე, ამ პერიოდის განმავლობაში, 65.5 მეტრამდე გაიზარდა. სპეციალისტები ექსპერიმენტებსა და ტესტებს ჩაატარებენ იმის გასაგებად, უკეთესად როგორ გამოიყენონ ბაქტერიები, შემდეგ კი მათ ნიადაგში, „წებოს“ რანგში დაამატებენ. ისტორიული ძეგლების გადარჩენის ამგვარი მეთოდი პირველად საფრანგეთში, ქალაქ ტუარში მდებარე ტაძრისთვის, გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოიყენეს.

# კიბოს წამალი – სიბერის წინააღმდეგ

გერმანელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დღეისთვის, სიცოცხლის გახანგრძლივების ყველაზე უფრო ეფექტიანი მეთოდი ახალგაზრდობაში ცნობილი სამედიცინო პრეპარატის მიღებაა. ასეთი დასკვნები მაქს პლანკის ინსტიტუტის მკვლევარებმა „რაპამიცინთან“ დაკავშირებით გააკეთეს, რომელიც 50 წელზე მეტია, მედიცინაში გამოიყენება. „რაპამიცინი“ აღმოაჩინეს, როგორც ანტიბიოტიკი, თუმცა მოგვიანებით იყენებდნენ, როგორც იმუნოსუპრესორს სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიისას. ამჟამად მას სწავლობენ, როგორც „სიბერის საწინააღმდეგო“ პოტენციურ წამალს. ეს პრეპარატი უჯრედებში ბლოკავს TOR-ის კომპლექსს, რომელიც უჯრედს ზრდის, გამრავლების, ენერგიის წარმოებისა და დაგროვებისკენ უბიძგებს. ყველა ეს პროცესი უჯრედშიდა „ნაგვის“ დაგროვებას იწვევს, მისი დაბლოკვა კი დაბერების პროცესს გადაწევს. ლაბორატორიულმა კვლევებმა პოზიტიური შედეგები აჩვენა. მკვლევარები ახლო მომავალში კლინიკური ცდების ჩატარებას გეგმავენ. „რაპამიცინი“ ტოქსიკური პრეპარატია, რომელსაც უამრავი გვერდითი მოვლენა აქვს, როგორც ყველა სიმსივნისსაწინააღმდეგო წამალს. ეს უშლის ხელს მხოლოდ არათუ მის გამოყენებას, არამედ, ადამიანებზე ცდების ჩატარებასაც კი.

# ყველი თუ კბილის პასტა?

ყველს შეუძლია, აღკვეთოს კარიესის წარმოქმნა და კბილის ნადების წარმოქმნის სიჩქარე შეანელოს, რადგან ის ანეიტრალებს მჟავებს პირის ღრუში, – ნათქვამია ახალ გამოკვლევაში. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ რძემჟავა პროდუქტი ხელს უწყობს მჟავიანობის დაქვეითებას და პირში ტუტე გარემოს წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სტომატოლოგთან ვიზიტების რაოდენობას. გარდა ამისა, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ყველი კბილების გარშემო ქმნის დამცავ ფენას. რაც უფრო მაღალია pH (უფრო ტუტე) კბილების ზედაპირზე, მით უკეთაა დაცული კბილები კარიესის წარმოქმნისგან.

გამოკვლევაში, რომელიც ამერიკელმა სწავლულებმა ჩაატარეს, 12-დან 15 წლამდე ასაკის 68 მოზარდი მონაწილეობდა. ისინი სამ ჯგუფად დაყვეს: ერთ მათგანს ყოველდღიურად ყველი „ჩედერის“ პორციებს აძლევდნენ, მეორეს – უშაქრო იოგურტს, მესამე ჯგუფის წევრებს კი ჭიქა რძეს ასმევდნენ. კვლევის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ ბავშვებში, რომლებიც იოგურტს მიირთმევდნენ, ან რძეს სვამდნენ, pH თანაბარ დონეზე რჩებოდა საჭმელის მიღებამდე და მის შემდეგაც. ხოლო ისინი, რომლებიც ყველს მიირთმევდემემ, აღენიშნებოდათ pH-ის დონის „სწრაფი“ ზრდა, კბილის ემალის ყოველი შემდგომი გასინჯვისას. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ყველი პირის ღრუში ზრდის ნერწყვის რაოდენობას, რაც ბუნებრივად ხელს უწყობს ორგანიზმში pH-ის ჯანმრთელ დონეს. თანაც, ყველში ქიმიური ნაერთებია, რომელსაც შეუძლია კბილზე დამცავი ფენა წარმოქმნას. ეს დამატებით იცავს კბილებს ემალის დამშლელი მჟავებისგან.

# ლუდი ზეთისხილისგან

ესპანელმა აგრონომმა ივან კაელესმა კატალონიიდან, რომელიც ზეითუნის ზეთის მწარმოებელია, ზეთისხილის ლუდი წარადგინა და მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. ეს უნიკალური ქაფიანი სასმელი, სახელწოდებით – Oliba Green Beer, შეიცავს შვიდი სახეობის Pallars jussa ზეთისხილს. ის სასმელს პიკანტურ სიმწარეს, განუმეორებელ არომატს და მადისაღმძვრელ, მომწვანე შეფერილობას აძლევს. ლუდი ჩეხური „პილსნერის“ სტილშია მოხარშული, აქვს 5%-იანი სიმაგრე და გამაგრილებელი გემო. ამ ექსკლუზიური სასმელის შეძენა, ჯერჯერობით, კატალონიის მხოლოდ ექვს სავაჭრო წერტილშია შესაძლებელი. ერთი ბოთლი ზეთისხილის ლუდის ფასი 3.45 ევროა.

## მარცვლეულის პროდუქტები დიბეტისგან გვიცავს

სპეციალისტები აშშ-ს დიეტოლოგთა ასოციაციიდან ირწმუნებიან, რომ ახალი მარცვლეულისგან დამზადებული პროდუქტები ბევრი სენისგან გვიცავს, მათ შორის, დიაბეტისა და ონკოლოგიური დაავადებებისგანაც. სწავლულებმა განაცხადეს, რომ მარცვლეულს პროფილაქტიკური თვისებები მასში არსებული დიდი რაოდენობით სასარგებლო ინგრედენტების გამო აქვს. მარცვლეულის პროდუქტებში, მაგალითად, პურსა და ბრინჯში დიდი რაოდენობით მცენარეული უჯრედისი, ფოლატი, ნიაცინი, „ბე“-ჯგუფის ვიტამინები და მაგნიუმია. ასეთი საკვების რეგულარულად მოხმარება, დიეტოლოგების განცხადებით, აღკვეთს გულსისხლძარღვთა დაავადების, შაქრიანი დიაბეტისა და ზოგიერთი სახეობის სიმსივნის განვითარებას. ექსპერტებმა გამოთვალეს – იმისთვის, რომ საკმარისი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებები მივიღოთ მარცვლეულისგან, ადამიანს დღეში 48 გრამი ესაჭიროება. ამ შემთხვევაში მოგვცემს პროდუქტი საჭირო პროფილაქტიკურ ეფექტს და დააქვეითებს მწვავე და ქრონიკული დაავადებების განვითარების რისკს.

## სენსორული სუფრა სტუმრების გასართობად

თუკი ვახშმის შემდეგ, სტუმრები ფორტეპიანოზე ან რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრას გთხოვენ, ამას მაგიდიდან აუდგომლადაც შეძლებთ. ეს კი მთლიანად Smart Textile-ის დამსახურებაა. შვედურმა კომპანიამ გამოუშვა სუფრა ლამინირებული სენსორებით, რომელთან შეხებაც ფორტეპიანოს ან დასარტყამი ინსტრუმენტების ხმას გამოსცემს. იდეის ავტორები, კომპანიის ხელმღვანელები არიან – ლი გუო, რომელიც სენსორების სპეციალისტია და მუსიკით გატაცებული მეტ იოჰანსონი. საკუთარი ინტერესების შერწყმით, მაგიდის საცდელი გადასაფარებელი შექმნეს. მათი თქმით, მთავარი პრობლემა თხელი ქსოვილის დაკავშირება იყო მყარ ელემენტებთან, რათა სუფრის გამოყენება მისი პირდაპირი დანიშნულებით გაადვილებულიყო. როგორც კი ეს პრობლემა სრულად მოგვარდება, მის ბაზარზე გასატანად წარმოებასაც დაიწყებენ.

## მარტივი ტესტი მკერდის კიბოს დასადგენად



სწავლულებმა სუნთქვის ტესტის აპარატი გამოიგონეს, რომელსაც მკერდის კიბოს დადგენა 10 წუთში შეუძლია. როგორც მკვლევარები ამბობენ, ტესტირება დღეს არსებული, საკმაოდ არაკომფორტული მამოგრაფიის ალტერნატივაა. ხელსაწყო, რომელსაც The Breath Link უწოდეს, ამერიკულ კომპანიაში შექმნეს და ის ევროპაში უკვე გაყიდვაშია. მისი გამოყენება ძალიან მარტივია – პაციენტი აპარატში ჩაისუნთქავს, ხელსაწყო ჰაერით ივსება, რომელიც ქიმიკალების დონეს აანალიზებს. თუ ქიმიკალი მკერდის კიბოს არსებობას აჩვენებს, კომპიუტერი ექიმს შედეგს აცნობებს. როგორც ხელსაწყოს ავტორები ამბობენ, მათი ქმნილება ისეთივე სიზუსტით მუშაობს, როგორც მამოგრაფიის მოწყობილობა. მკვლევართა განცხადებით, ვიდრე ეს პრაქტიკა დაინერგება ან ვიდრე მკერდის კიბოს სკრინინგისთვის ერთადერთ ალტერნატივად გამოცხადდება, ჯერ კიდევ ბევრი გამოკვლევა უნდა ჩატარდეს. მედიკოსების განცხადებით, ამ ეტაპზე, დაავადების აღმოჩენის სიზუსტე დაბალია.

## „სელფის“ სიყვარულისთვის გაათავისუფლეს

ავიაკომპანია Air China-ს პილოტი ფრენებიდან იმის გამო მოხსნეს, რომ უამრავ „სელფის“ იღებდა თვითმფრინავის კაბინაში. მამაკაცმა ჩინურ სოციალურ ქსელში გვერდი შექმნა, სადაც ახალ-ახალ ფოტოებს აქვეყნებდა და მოკლე დროში, 72 ათასი ხელმომწერიც დააგროვა. თუმცა, როგორც კი კომპანიის ხელმძღვანელობამ პილოტის ამ გატაცების შესახებ გაიგო, ის ფრენებიდან მოხსნეს. მოგვიანებით, „სელფის“ მოყვარულმა საკუთარი გვერდიდან ფოტოებიც წაშალა. აღმოჩნდა, რომ ავიაკომპანიის წესების მიხედვით, თანამშრომლებს ეკრძალებათ ფოტოებისა და ვიდეოს გამოქვეყნება ფირმის ლოგოტიპის ან უნიფორმის გამოსახულებით. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ პილოტის „სელფის“ ჩვევას, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა ფრენის დროს მის ემოციებზე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.